ქალთა ფონდი საქართველოში
WOMEN'S FUND IN GEORGIA

ქალი და რეალობა
WOMAN AND REALITY

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტისა და სამოქმედო გეგმების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან

შეფასების ანალიზის დოკუმენტი მომზადდა კავშირის მიერ „ქალი და რეალობა“ , პროექტის ფარგლებში „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა გაძლიერება შრომითი და ეკონომიკური უფლებების ადვოკატირების კუთხით“. პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ქალთა ფონდი საქართველოში.

ამ შეფასების ანალიზის დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია „ქალი და რეალობა“ და მისი გამოთქმული მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს დონორის- ქალთა ფონდი საქართველოში მოსაზრებებს.

ავტორები:

იზა გიგაური

ეკატერინე ცხვარიაშვილი

შეფასების ანალიზის დოკუმენტის მომზადებაში

მონაწილეობა მიიღეს: თამარ მაჭარაშვილი

თამარ მაღლაკელიძე

თბილისი

2022

სარჩევი

აბსტრაქტი 3

შესავალი 4

საერთაშორისო პრაქტიკა 7

გამოყენებული მიდგომა 10

მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქმედო გეგმების, პროგრამების ბიუჯეტების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან 12

ნაწილი I 13

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქმედო გეგმების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან 13

ნაწილი II 17

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და გენდერული პერსპექტივებიდან 17

დასკვნა 45

რეკომენდაციები 46

გამოყენებული ლიტერატურა 48

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა საქართველოში პირველად განიხილავს ადგილობრივი თვითმმართველობების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმებს გენდერულ კონტექსტში და ადგილობრივი პროგრამების გენდერულ ბიუჯეტს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში შშმ) ქალთა კონტექსტში.

შშმ პირთა უფლების რეალიზაციის კუთხით უკანასკნელ წლებში საქართველო მნიშვნელოვან რეფორმებს ახორციელებს.

2020 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე (გარდა კანონის I-III თავებისა, რომელიც ამოქმედდა 2021 წლის 1 იანვრიდან).[1]

2021 წელს საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე შეიქმნა შშმ პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტი[1] ამავდროულად, ქვეყანას ერთ-ერთ პრიორიტეტად აღიარებული აქვს გენდერული თანასწორობის გაძლიერება და მხარდაჭერა, რომელიც განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ქალების, როგორც დისკრიმინირებული საზოგადოებრივი ჯგუფის გაძლიერებასა და მხარდაჭერაზე. შშმ პირთა ახალი კანონის შესაბამისად ადგილობრივ თვითმმართველობებს აღებული აქვთ ვალდებულება ყოველწლიურად შეიმუშაონ შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის 2006 წლის კონვენციასთან და შშმ პირთა უფლებების დაცვის საქართველოს კანონთან.

კვლევის ანალიზი მოიცავს საჯარო პოლიტიკის (ადგილობრივი თვითმმართველობის სამოქმედო გეგმები) და საბიუჯეტო ხარვეზების შეფასებას გენდერისა და შეზღუდული შესაძლებლობის თვალსაზრისით.

საკვანძო სიტყვები: გენდერული თანასწორობა, შეზღუდული შესაძლებლობა, შშმ ქალთა დაცვა დისკრიმინაციისაგან, სამოქმედო გეგმების ანალიზი, გენდერული ბიუჯეტირება

[1] დადგენილება # 551 (2021) https://matsne.gov.ge/ka/document/view/5292878?publication=0

შესავალი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკაში გენდერული თანასწორობა გაეროს შშმ პირთა უფლებების დაცვის კონვენციით არის გარანტირებული. კონვენციის თანახმად, წევრმა ქვეყნებმა უნდა მიიღონ „ყველა შესაბამისი ზომა“ თითოეული შშმ პირის უფლებებისა და თავისუფლებების სრული რეალიზაციისათვის. ზომები შეიძლება იყოს სამართლებრივი, საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული, კულტურული, პოლიტიკური, ლინგვისტური ან სხვა სახის. ისინი შესაბამისად მიიჩნევა, თუ პატივს სცემს კონვენციის პრინციპებს და შშმ ქალებისათვის იძლევა კონვენციაში განსაზღვრული ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სრულად სარგებლობის გარანტიას. ზომები შეიძლება იყოს დროებითი ან გრძელვადიანი და უთანაბრობა დაძლიოს de jure ან de facto. როცა სპეციალური ზომები (მაგ: კვოტები) აუცილებელია სტრუქტურული ან სისტემური მრავალგვარი დისკრიმინაციის გადასალახად, გრძელვადიანი საშუალებები - როგორიცაა კანონებისა და პოლიტიკის რეფორმირება ცხოვრების ყველა სფეროში შშმ ქალების თანასწორი მონაწილეობისათვის - აუცილებელი წინაპირობაა შშმ ქალების ფაქტობრივი თანასწორობის მისაღწევად. შშმ პირთა წინსვლისა და გაძლიერებისათვის მისაღები ზომები უნდა გასცდეს განვითარების მიზანს და ემსახურებოდეს შშმ ქალების სიტუაციის გაუმჯობესებას მთელი ცხოვრების განმავლობაში. შშმ პირთა უფლებების მე-6 მუხლი განამტკიცებს კონვენციის მიდგომას დისკრიმინაციის აკრძალვის მხრივ, განსაკუთრებით, ქალებსა და გოგონებთან მიმართებით. იგი მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, რომ დისკრიმინაციული ქმედებებისაგან თავშეკავების გარდა, მიიღონ ზომები შშმ ქალებისა და გოგონების განვითარების, წინსვლისა და გაძლიერებისათვის;[2]

შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში ინკლუზიური განვითარებისა და გენდერული თანასწორობის მიმართულებით ქვეყანამ მტკიცე ვალდებულებები აიღო, 1994 წელს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციისა (CEDAW)[3] და ბავშვთა უფლებების კონვენციის (CRC) რატიფიცირება მოახდინა[4], ხოლო 1995 წელს პეკინის დეკლარაციისა და სამოქმედო პლატფორმის (BPfA) მონაწილე გახდა. 2014 წელს კი საქართველომ შშმ პირთა უფლებების კონვენციის (CRPD) რატიფიცირებაც მოახდინა და „ინჩეონის სტრატეგიის“ მხარდამჭერია, რაც 2013-2022 წლების პერიოდში შშმ პირთა უფლებების განხორციელებას („გახადე უფლება რეალური“) გულისხმობს. ქვეყანა, ასევე, მხარს უჭერს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგს და მდგრადი განვითარების 17 მიზანს, რაც შეზღუდული შესაძლებლობების მთელ რიგ ინდიკატორებს მოიცავს.

ეროვნულ დონეზე შშმ პირთა მხარდამჭერი კანონები მიიღო, მათ შორის, 2010 წელს - კანონი გენდერული თანასწორობის შესახებ და 2019 წელს - ბავშვთა უფლებების კოდექსი. 2020 წელს შშმ პირთა უფლებების შესახებ მიღებული კანონი კი სრულად ძალაში 2021 წელს შევიდა. ეს კანონი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მას საქართველო შეზღუდულ შესაძლებლობათა სამედიცინო მოდელიდან

[2] ზოგადი კომენტარი №3 (2016) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ მისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/mrubwxhr

[3] კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3860268?publication=0

[4] ბავშვის უფლებების კონვენცია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/2s384wyf

ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე გადაჰყავს, რაც შშმ პირთა უფლებების კონვენციის სტანდარტებს შეესაბამება.[5]

აღნიშნული კანონით საქართველოს სახელმწიფო იღებს ვალდებულებას საქართველოს უმაღლესი კანონის, კონსტიტუციის, გაეროს 2006 წლის შშმ პირთა უფლებების შესახებ კონვენციის (შემდგომ კონვენცია), ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე ხელი შეუწყოს შშმ პირთა ყველა იმ უფლებისა და თავისუფლების განხორციელებას, რაც მათ საქართველოს შიდა თუ საერთაშორისო კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული და უზრუნველყოს შშმ პირთა ღირსების დაცვა.

ამავე წელს, საქართველოს მთავრობამ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონისა და გაეროს „შშმ პირთა უფლებების კონვენციის" იმპლემენტაციის კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ორგანო, შშმ პირთა უფლებების შესახებ უწყებათაშორისო საკოორდინაციო კომიტეტი შექმნა.

გარკვეული წინ გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, არსებული კვლევებისა და ანგარიშების თანახმად, ნათელია, რომ საკანონმდებლო და საჯარო პოლიტიკის მიმართულებით განხორციელებული დადებითი ცვლილებები სრულად არ ასახულა შშმ პირთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, განსაკუთრებით, შშმ ქალებისა და გოგოების შემთხვევაში.

საქართველოს პარლამენტის 2019 წლის თემატური მოკვლევის თანახმად [6] „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის ჯანდაცვის სერვისების მისაწვდომობის შესახებ" - საქართველოში არსებული სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტები ნაკლებად აღიარებს შშმ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებულ საჭიროებებს; სახელმწიფო პროგრამების შემუშავებისა და ბიუჯეტის დაგეგმვისას არ ითვალისწინებს შშმ ქალებისა და გოგონებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს. აღნიშნული ეხება ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური რეაბილიტაციის, განათლების, დასაქმებისა და სხვა პროგრამებს.

დასახელებული გამოწვევა დღემდე აქტუალურია. დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში 2021 წლის ანგარიშის თანახმად [7] -„შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა, პოლიტიკის დონეზე, სახელმწიფოსთვის ჯერ კიდევ არ წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას. ისინი შშმ თემში დღემდე ერთ-ერთ ყველაზე მოწყვლად ჯგუფებად რჩებიან. სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს ერთიანი სისტემური ხედვა, ასევე არ ხორციელდება სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოება, რაც მათთვის მინიჭებული უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით სარგებლობისთვის დამატებითი ხელისშემშლელი ფაქტორია". ამავე ანგარიშში ვკითხულობთ - „ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ სახელმწიფო დონეზე შშმ პირთა უფლებების დაცვის სფეროში ერთიანი სტანდარტების არარსებობის პირობებში, სახელმწიფო უწყებებისა და მუნიციპალიტეტების დიდმა ნაწილმა დაგვიანებით და შშმ თემის მონაწილეობის გარეშე, შეიმუშავა და დაამტკიცა სამოქმედო გეგმები, რომელიც გათვალისწინებულია შშმ პირთა უფლებების შესახებ კანონით". თემატური მოკვლევა მნიშვნელოვან აქცენტს აკეთებს შშმ ქალებისა და გოგონების დასაქმებასთან

[5] საქართველოს კანონი შშმ პირთა უფლებების შესახებ ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/37pu2xbs

[6] საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევა ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/242885

[7] დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში ხელმისაწვდომია ბმულზე: http://equalitycoalition.ge/files/shares/DISCRIMINATIA_2022_30_04_ForWeb.pdf

დაკავშირებულ გამოწვევებზე და აღნიშნავს, რომ - „ არსებული მცირემასშტაბიანი სახელმწიფო ინიციატივები, რომლებიც მიზნად ისახავს შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობას, არ არის გენდერულად მგრძნობიარე და შშმ ქალებისა და გოგონების განსაკუთრებულ საჭიროებებს ვერ ამჩნევს. ადამიანის უფლებათა 2018-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის ჩანაწერები ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესახებ შშმ ქალების წინაშე არსებულ ბარიერებსა და საჭიროებებს არ ასახავს“.

სახალხო დამცველის შეფასების (2020)[8] თანახმად, გენდერული თანასწორობის მიღწევაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რადგან მუნიციპალიტეტები მეტ ინფორმაციას ფლობენ ადგილობრივ დონეზე არსებული საჭიროებების შესახებ. გარდა ამისა, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები აისახება შშმ პირთა, მათ შორის, შშმ ქალთა და შშმ პირთა დედების კეთილდღეობაზე და სიღარიბის შემცირებაზე. ამიტომ საჭიროა მუნიციპალიტეტების გენდერული პოლიტიკა ფოკუსირებული იყოს ქალთა და შშმ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

ეკონომიკური გაძლიერება პირდაპირ კავშირშია როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ განათლებასთან და განსაკუთრებით ხაზგასასმელია პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის რეგიონებში, რაც დასაქმების წინაპირობაა.

საქართველოს სახალხო დამცველის 2020 წლის „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება“ ასკვნის, რომ „შშმ პირების ეკონომიკური გაძლიერებისთვის განხორციელებული პროგრამები და ინიციატივები მინიმალურია, რადგან მათი შემოსავლის ძირითადი წყარო, უმეტესად სოციალური პაკეტით გათვალისწინებული დახმარებაა. შშმ პირები, ადაპტირების, კვალიფიკაციის, სამუშაო გარემოსა და პირობების გონივრულად მისადაგების პრობლემის გამო, მინიმალურად არიან დასაქმებული საჯარო თუ კერძო სამსახურებში“.

შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში სახალხო დამცველის 2022 წლის ანგარიში[9] ცხადყოფს, რომ შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა, პოლიტიკის დონეზე, არ არის პრიორიტეტული მიმართულება. გარკვეული პოზიტიური ცვლილებები, რაც შშმ პირთა უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესების მიმართულებით შესაბამისი რეგულაციებისა თუ პროგრამების შექმნაში გამოიხატება, შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დასაცავად ეფექტიან გზად ვერ ჩაითვლება. ეს მიდგომები და პროგრამები ვერ ხედავენ შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებს, რომელიც უმეტესად, შესაძლოა, განსხვავდებოდეს შშმ კაცების საჭიროებებისგან. სახელმწიფოს არა აქვს სისტემური ხედვა, როგორ გააუმჯობესოს შშმ ქალებისა და გოგოების უფლებების დაცვა ცხოვრების ყველა სფეროში. ამ მიმართულებით, განსაკუთრებით პრობლემურია სეგრეგირებული სტატისტიკის წარმოების არარსებობა, ურომლისოდაც, ფაქტობრივად, შეუძლებელია სრული სურათის დანახვა, რა მასშტაბის პრობლემასთან გვაქვს საქმე შშმ ქალებისა და გოგოების ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში.[10]

[8] საქართველოს სახალხო დამცველი. (2020). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება - სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf

[9] საქართველოს სახალხო დამცველი. (2022). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში. https://www.ombudsman.ge/res/docs/2022032319395428522.pdf

[10] შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში (2022) ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ombudsman.ge/geo/190308061623angarishebi

ამდენად, საჭიროა მეტი ძალისხმევა ადგილობრივ დონეზე, რათა აღმოიფხვრას უთანასწორობა და უპირველესად, უზრუნველყოფილი იყოს ფიზიკურ გარემოზე მისაწვდომობა.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტებში შშმ პირთა პროგრამებში გენდერული ბიუჯეტირების გამოყენება შესაძლებელს გახდის შშმ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების იდენტიფიცირებას და მათი გადაჭრისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას. როგორც ქალთა კეთილდღეობაზე მიმართული აქტივობები, ასევე შშმ პირთა კეთილდღეობისკენ მიმართული მიზნები, შშმ ქალთა გაძლიერებას შეუწყობს ხელს, თუ ორივე მიმართულებაში გათვალისწინებული იქნება შშმ ქალთა საჭიროებები. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ პროგრამებში არსებული ინიციატივები მოითხოვს კონკრეტული ფინანსების გამოყოფას ბიუჯეტში, რაც სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტში უნდა აისახოს. ეს კი გენდერულ ბიუჯეტირებას შეუწყობს ხელს და შედეგად, გენდერული თანასწორობის მიზნის მიღწევისკენ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

წარმოდგენილი დოკუმენტის მიზანია ადგილობრივ დონეზე შშმ პირთა სამოქმედო გეგმების, პროგრამების ბიუჯეტების ანალიზი და შეფასება გენდერული პერსპექტივიდან. გენდერული ასპექტების ჩართვა საბიუჯეტო პროცესში მნიშვნელოვანია გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად და ქალთა საჭიროებებზე რეაგირებისათვის. გენდერულად მგრძნობიარე პროგრამებისა და ბიუჯეტის შემუშავება ადგილობრივ თვითმმართველობებში მხარს დაუჭერს შშმ ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. ქალთა, მათ შორის შშმ ქალთა, მოწყვლადობის შემცირება შესაძლებელია მათი ეკონომიკური დამოუკიდებლობის გაძლიერებით.

საერთაშორისო პრაქტიკა

სხვადასხვა ქვეყნის შშმ პირთა სამოქმედო გეგმები ითვალისწინებენ გენდერულ საკითხებს. შშმ ქალთა და გოგონათა საჭიროებები ასევე ინტეგრირებულია სხვადასხვა სტრატეგიაში ეროვნულ თუ ადგილობრივ დონეზე.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის შშმ პირთა გლობალური სამოქმედო გეგმა[11], ხედვასა და მიზნებში ყურადღებას ამახვილებს შშმ ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის მიღწევაზე. არსებული ვითარების მიმოხილვის ნაწილში განმარტებულია, რომ შეზღუდულ შესაძლებლობას ქალებზე არაპროპორციულად მეტი გავლენა აქვს და მეტი რისკის ქვეშ არიან. ჯანდაცვის სერვისების წვდომის მიზანში აღნიშნულია, რომ ასევე ქალთა და გოგონათა საჭიროებები უნდა იყოს გათვალისწინებული. აღნიშნული გეგმა რეკომენდირებულია გაეროს წევრი ქვეყნებისთვის, რასაც უნდა ეფუძნებოდეს ეროვნული სტრატეგია.

ავსტრალიის მთავრობის 2021-2031 წლების შშმპ სტრატეგია[12], პოლიტიკის პრიორიტეტად ასახელებს გენდერული თანასწორობის მიღწევას. აგრეთვე შშმ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრას. მართლმსაჯულებაზე წვდომის უზრუნველყოფა შშმ

[11] The WHO global disability action plan 2014-2021. https://www.who.int/publications/i/item/who-global-disability-action-plan-2014-2021
[12] Australia's Disability Strategy 2021-2031. https://www.disabilitygateway.gov.au/ads/strategy

პირებისთვის მნიშვნელოვანია და დოკუმენტში განმარტებულია, რომ შშმ ქალთა უფლებები უფრო ხშირად ირღვევა და განიცდიან ძალადობას, რაც შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩეს, თუ დაზარალებულები არ განაცხადებენ ამის შესახებ და არ მიმართავენ შესაბამის უწყებებს. ამიტომ განსაკუთრებული ზომების მიღებაა საჭირო მართლმსაჯულებაზე წვდომის გასაზრდელად შშმ ქალებისთვის და მათი უფლებების დასაცავად.

სტრატეგიის პრიორიტეტია ჯანდაცვის სერვისებზე დროული და სრულყოფილი წვდომა, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის ასამაღლებლად. ხაზგასმულია სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობა; ინფორმაციაზე, დიაგნოზსა და მკურნალობაზე ხელმისაწვდომობა; პერინატალური და დედათა ჯანმრთელობის ხელშეწყობა.

დოკუმენტში შედარებულია შშმ ქალთა დასაქმების მაჩვენებელი (45.9%) შშმ მამაკაცთა დასაქმებლის მაჩვენებელთან (49.9%).

აღსანიშნავია, რომ სტრატეგიის დოკუმენტში უმეტესწილად წარმოდგენილია ქალთა ფოტოსურათები.

ავსტრიის ეროვნული სამოქმედო გეგმა[13] შემუშავებულია ავსტრიის ფედერალური მთავრობის მიერ გაეროს შშმპ კონვენციის განსახორციელებლად. დოკუმენტში ცალკე არის გამოყოფილი შშმ ქალები და განმარტებულია, რომ შშმ პირთა პოლიტიკაში გენდერული პერსპექტივა უნდა იყოს ჩართული. აქ ხაზგასმულია ძალადობის საკითხები და წვდომა სამედიცინო სერვისებზე.

გასატარებელ ღონისძიებებში აღნიშნულია გენდერული სტატისტიკის შეგროვება მონაცემთა დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად, რაც ყველა სამინისტრომ უნდა გააკეთოს. შშმ ქალთა და გოგონათა განათლების განსაკუთრებული მხარდაჭერა ევალება განათლების სამინისტროს, მეცნიერების სამინისტროს, კულტურის სამინისტროს.

დოკუმენტში, მიზნებად გამოყოფილია სამართლებრივი მხარდაჭერა და უფლებების დაცვის ღონისძიებები, ორსულობისა და მშობიარობის საკითხებთან დაკავშირებით შშმ ქალთა უფლებების დაცვა. სპორტის მიზნებში გათვალისწინებულია ასევე ქალი სპორტსმენები. შშმ პირთა დასაქმების სტრატეგიაში გათვალისწინებულია სპეციალური დაფინანსება იმ შშმ ქალებისთვის, რომლებსაც არ აქვთ წვდომა სამუშაო ბაზარზე ან არასოდეს უმუშავიათ.

სტრატეგიის დოკუმენტი მოიცავს დროის პერიოდს და იმ სამინისტროებს, ვინც სტრატეგიული მიზნების განხორციელებაზეა პასუხისმგებელი. აღსანიშნავია, რომ სამინისტროები ვალდებულები არიან მოხსენებები გააკეთონ მიღწეულ შედეგებთან დაკავშირებით.

კანადის მუნიციპალიტეტებში[14], გადაწყვეტილების მიღებაში ქალთა მონაწილების გასაუმჯობესებლად, გამოკვეთილია საჭიროება, რომ გატარდეს ღონისძიებები, რათა მუნიციპალიტეტების მრჩეველთა კომიტეტებში, მათ შორის, შშმ პირები ჩაერთონ. სპეციალურმა პროექტებმა ხელი უნდა შეუწყოს შშმ ქალთა, ემიგრანტების, ღარიბი

[13] National Action Plan On Disability 2012 - 2020. https://broschuerenservice.sozialministerium.at/Home/Download?publicationId=225

[14] Increasing Women's Participation in Municipal Decision-making Processes: Strategies for More Inclusive Canadian Communities. https://www.gov.nl.ca/exec/wge/files/Increasing-Womens-Participation-in-Municipal-Decision-Making-Strategies-for-More-Inclusive-Canadian-Communities.pdf

ქალებისა და ფერადკანიანი ქალების ჩართულობას.

კანადის ეროვნული შშმპ სამოქმედო გეგმა[15] მოიცავს გენდერული თანასწორობის საკითხებს.

დიდი ბრიტანეთის[16] შშმპ სამოქმედო გეგმაში ყურადღება გამახვილებულია გენდერულ თანასწორობაზე და შშმ ქალთა საკითხებზე. ეკონომიკური გაძლიერების მიზანი მოიცავს შშმ ქალთა ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარებას, დასაქმების ხელშეწყობას, ბარიერების მოხსნას და თანაბარ წვდომას სერვისებზე.

დიდი ბრიტანეთის [17] მთავრობამ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისა და შშმ პირთა საკითხები ჩართო მომავლის ქალაქების პროგრამებში. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ურბანულ დაგეგმარებაში, ბიუჯეტირებაში, მართვასა და მენეჯმენტში, აუცილებელია ქალთა და შშმ პირთა საკითხების ინტეგრირება. ურბანული პროგრამებისა და პოლიტიკის ყველა ასპექტში ჩართული უნდა იყოს ქალთა და შშმ პირთა თანასწორობა და გენდერული პერსპექტივა. საჭიროა ფოკუსირება უნივერსალურ დიზაინზე ინფრასტრუქტურულ პროექტებში, ასევე უსაფრთხოებაზე, რათა მოხდებს შშმ ქალებზე ძალადობის პრევენცია. მითითებულია, რომ მონიტორინგი და შეფასება გამოაჩენს, თუ რა საჭიროებების წინაშე დგანან შშმ ქალები, რადგან ქალები არაპროპორციულად განიცდიან სოციალურ და ეკონომიკურ ზეგავლენებს. ხოლო ურბანული დაგეგმარება და პრაქტიკა, როგორც წესი, არ ითვალისწინებდა მათ საჭიროებებს.

სამხრეთ აფრიკის[18] შშმპ სტრატეგია ადგილობრივი მთავრობებისთვის მიზნად ისახავს შშმ პირთა, განსაკუთრებით, შშმ ქალთა, ახალგაზრდებისა და ხანდაზმულების საჭიროებებზე ზრუნვას, რისთვისაც აუცილებელია შშმ საკითხების ინტეგრირება ბიუჯეტში, პროგრამებში, პოლიტიკასა და კანონმდებლობაში. დოკუმენტში აღნიშნულია ასევე იმ პროგრამების განხორციელება, რომლებიც სარგებელს მოუტანს შშმ ქალებს. ადგილობრივი მთავრობების პრიორიტეტებს შორისაა შშმ პირთა ეკონომიკური და სოციალური გაძლიერება, გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერება.

ბოსნია და ჰერცეგოვინის ფედერაციის[19] შშმპ სტრატეგიაში ხაზგასმულია შშმ ქალ მეწარმეთა წახალისება და მათი განათლება, რათა ამოიცნონ ძალადობა და მიმართონ დახმარებას მათი უფლებების დასაცავად.

ხორვატიის რესპუბლიკის მთავრობის [20] შშმპ სტრატეგიაში მითითებულია, რომ შშმ ქალები განსაკუთრებით წახალისებულები არიან, რათა გახდნენ მეწარმეები. მიზნები მოიცავს შშმ ქალთა ჩართულობის გაზრდას პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში და მათი თანაბარი

---

[15] Canada's Disability Inclusion Action Plan, 2022. https://www.canada.ca/en/employment-social-development/programs/disability-inclusion-action-plan-2/action-plan-2022.html

[16] DFID's Strategy for Disability Inclusive Development 2018-23. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/United-Kingdom_Disability-Inclusion-Strategy-2018-to-2023.pdf

[17] Key sheet - Women's Economic Empowerment and Disability Inclusion in Future Cities programmes. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/983280/Prosperity-fund-key-sheet-query61-Global-Future-Cities1.pdf

[18] Disability Framework for Local Government 2009 - 2014. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/South-Africa_Disability-Framework-for-Local-Government-2009-2014.pdf

[19] Strategy for advancement of rights and status of persons with disabilities in the Federation of Bosnia and Herzegovina. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/BosniaHerzegovina_Strategy-for-Equalisation-of-Opportunities-for-Persons-with-Disabilities-in-the-Federation-of-Bosnia-and-Herzegovina.pdf

[20] National Strategy for Equalization of Opportunities for Persons with Disabilities 2017 - 2020. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/Croatia_National-Strategy-of-Equalization-of-Opportunities-for-Persons-with-Disabilities.pdf

შესაძლებლობების უზრუნველყოფას.

ჩეხეთის რესპუბლიკის[21] ეროვნული შშმპ სტრატეგია ითვალისწინებს ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის საკითხებს და უზრუნველყოფს თანაბარ პირობებს მათთვის. ერთ-ერთ მიზნად მოცემულია სამედიცინო პერსონალის ცნობიერების ამაღლება შშმ ქალთა საჭიროებებზე. ასევე აღნიშნულია შშმ ქალებისა და კაცების თანაბარი დასაქმება საჯარო სექტორში. სტრატეგიის კიდევ ერთი მიზანია შშმ ქალთა ჩართულობის გაზრდა საჯარო ცხოვრებაში.

ამრიგად, საერთაშორისო პრაქტიკა ითვალისწინებს გენდერულ საკითხების წინ წამოწევას, ხოლო სამოქმედო გეგმებსა და სტრატეგიის დოკუმენტებში გათვალისწინებულია შშმ ქალთა და გოგონათა საჭიროებები.

გამოყენებული მიდგომა

წინამდებარე დოკუმენტის მოსამზადებლად, თავდაპირველად შეგროვდა მონაცემები შშმ პირთა სამოქმედო გეგმებისა და ბიუჯეტების შესახებ. კერძოდ, სამაგიდო კვლევის დროს შესწავლილი იქნა შერჩეული სამიზნე მუნიციპალიტეტების ადგილობრივი თვითმმართველობების შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის 10 დოკუმენტი და ადგილობრივი პროგრამების ბიუჯეტის 11 დოკუმენტი, ჯამში სულ 811 გვერდი. თითოეული მათგანი გაანალიზდა გენდერული პერსპექტივიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა ჭრილში და მომზადდა რეკომენდაციები შეფასებაზე დაყრდნობით.

[21] National Plan for the Promotion of Equal Opportunities for Persons with Disabilities 2015-2020. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/Czechia_National-Plan-for-the-Promotion-of-Equal-Opportunities-for-Persons-with-Disabilities-2015-2020.pdf

დიაგრამა N1 გამოყენებული მიდგომის სქემატური გამოსახულება.



შერჩეული სამიზნე მუნიციპალიტეტები: თბილისი, კახეთის რეგიონი (თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი); იმერეთის რეგიონი (ქუთაისი, ბაღდათი, საჩხერე); გურია(ლანჩხუთი, ოზურგეთი); რაჭა(ამბროლაური, ონი);

ცხრილი N1 გაანალიზებული სამოქმედო გეგმები და ბიუჯეტები მუნიციპალიტეტების მიხედვით

#	მუნიციპალიტეტის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა	2022 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, დადგენილება
1	თბილისი	თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #4-7
2	-	თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #01
3	ლაგოდეხი	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #23
4	სიღნაღი	სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #13
5	ქუთაისი	ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #18
6	ბაღდათი	ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #21
7	საჩხერე	საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #1

8	ლანჩხუთი	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #5
9	ოზურგეთი	ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #17
10	ამბროლაური	ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #05
11	ონი	ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #17

თბილისში, კახეთში, იმერეთში, რაჭასა და გურიაში ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ შემუშავებული შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმების, ადგილობრივი პროგრამებისა და ბიუჯეტის შეფასების მიზანია, დადგინდეს, არსებული პროგრამების ბიუჯეტი გამოყოფილი სათანადო ფინანსური რესურსით რამდენად პასუხობს შშმ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნებს, გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის მიზნებსა და შშმ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების გადაჭრის მიზნებს.

მუნიციპალიტეტებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქმედო გეგმების, პროგრამების ბიუჯეტების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან

სამოქმედო გეგმის განხილვა შესაძლებელია მისი მიზნებისა და აქტივობების სპეფიციკურობის/კონკრეტულობის, გაზომვადობის, მიღწევადობის, რელევანტურობისა და დროში შესრულებადობის მიხედვით[22] (ე.წ. SMART მიზნები: Specific, Measurable, Achievable /Assignable, Relevant/ Realistic, and Time-Bound/ Time-related).

სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება არსებული სიტუაციის ანალიზის შედეგად, რადგან საჭიროა წინა წლების სამოქმედო გეგმის მიმოხილვა და მიზნების შესრულების შედარება. სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს წინა წლებში განხორციელებული აქტივობების შეფასებიდან. მაგრამ სამოქმედო გეგმა პირველადი სიტუაციის ანალიზს მოიცავს იმ შემთხვევაში, თუ იმ სფეროში მანამდე არ განხორციელებულა ღონისძიებები და შესაბამისად, არ არსებობს საწყისი მონაცემები. სამოქმედო გეგმის შედგენამდე საჭიროა კვლევის ჩატარება, რათა შეფასდეს არსებული მდგომარეობა და დაისახოს არსებული პრობლემის გადაჭრის რეალისტური ამოცანები.

ამასთანავე, ღონისძიებები სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს გაზომვადი და მოიცავდეს კონკრეტულ სტრუქტურებს/ ორგანიზაციებს, რომლებიც განახორციელებენ გეგმით გათვალისწინებულ ამოცანებს. სამოქმედო გეგმაში, აგრეთვე, მითითებული უნდა იყოს ფინანსური მხარდაჭერა კონკრეტულად და ნათლად, იქნება ეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან თუ დონორი ორგანიზაციის მხრიდან.

[22] საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (2014). სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით. ავტორი: ნ. გოჩიაშვილი. https://gyla.ge/files/news/სამოქმედო%20გეგმების%20ანალიზი%20ქალთა%20დასაქმების%20ხელშეწყობის%20კუთხით.pdf

ნაწილი I

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქმედო გეგმების შეფასება გენდერული პერსპექტივიდან

სამაგიდო კვლევის ფარგლებში შეფასდა 10 მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული შშმ პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა და ერთი მუნიციპალიტეტის (სიღნაღი) ანალიზის დოკუმენტი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სიღნაღის მუნიციპალიტეტში განხორციელების საჭიროებების კვლევის ანგარიში“. თელავის მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული „შშმ პირთა უფლებების დაცვის 2022 წლის სამოქმედო გეგმა“.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა სამოქმედო გეგმა მოიცავს ერთსა და იმავე მიზანს: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა“. განსხვავებულია ოზურგეთისა და ქუთაისის მუნიციპალიტეტების სამოქმედო გეგმის მიზნები. ოზურგეთი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში, დამოუკიდებელ ცხოვრებასა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის გაზრდა“ და ქუთაისი: „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული და თვითრეალიზებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნა, სადაც თითოეულ მოქალაქეს ექნება თანაბარი შანსი დასაქმებისა და პროცესებში მონაწილეობისათვის“.

თბილისი: ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შშმ პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2021-2024 წწ. სამოქმედო გეგმა შედგება (1) შესავლის, (2) მიზნების, (3) ხედვისა და პრინციპების, (4) ძირითადი ფაქტებისა და არსებული მდგომარეობის მიმოხილვის, (5) სტრატეგიული მიმართულებებისა და პრიორიტეტული ამოცანების და (6) სამოქმედო გეგმისაგან. იგი წარმოადგენს ამ სახით შემუშავებულ პირველ დოკუმენტს.

სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს 4 სტრატეგიულ მიმართულებას და 14 პრიორიტეტულ ამოცანას. გეგმაში მითითებულია მოსალოდნელი შედეგები, ინდიკატორები, ვადები და განხორციელებაზე პასუხისმგებელი უწყება. ხაზგასასმელია პრიორიტეტული ამოცანების აქტივობათა სიმრავლე და დროში მიღწევადობის რეალურობა. ინდიკატორები, უმეტესწილად, რაოდენობრივი არ არის. სამოქმედო გეგმაში გენდერული საკითხები გათვალისწინებული არ არის, გარდა სკრინინგ ცენტრების მისაწვდომობის ღონისძიებისა.

პირველი სტრატეგიული მიმართულების ამოცანის 1.1. პირველივე აქტივობა მოიცავს მუნიციპალიტეტის სამსახურების თანამშრომელთა სწავლებას შშმ პირთა უფლებების შესახებ. ამ ღონისძიებაში შესაძლებელია ცნობიერების ამაღლება აგრეთვე გენდერულ საკითხებზე.

იმავე ამოცანის 1.1.9. აქტივობა განსაზღვრავს შშმ პირთა პერსპექტივის ჩართვას მერიის სამსახურების პროგრამებში, სადაც ასევე შესაძლებელია გენდერული საკითხების გათვალისწინება, მაგალითად, შშმ ქალთა ჩართულობის გაზრდა პროგრამების შემუშავებაში. იგივე შეიძლება ითქვას აქტივობის 1.1.12. შესახებ, შშმ პირთა

მონაწილეობისა და მისწავდომობის გაზრდა მერიის ღონისძიებებში განსახილველია გენდერულ ჭრილში.

1.2 პრიორიტეტული ამოცანის „საზოგადოებრივი სივრცეების, ობიექტების და სერვისების გონივრული მისადაგება,მისაწვდომობისა და ინკლუზიურობის გაზრდა (ტრანსპორტის, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ჩათვლით)“ აქტივობები გენდერულ საკითხებსაც უნდა ითვალისწინებდეს, რათა შშმ ქალებისათვის ქალაქი გახდეს უფრო უსაფრთხო, მისაწვდომი და კომფორტული.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, „ამხანაგობების“ როლი შშმ პირთა უფლებების დაცვაში. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მართებს პასუხისმგებლობის აღება, როგორც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის თავმჯდომარისა და წევრების ცნობიერების ამაღლება, ასევე ზრუნვა ამ მიმართულებით, რადგან მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსებში უმეტესწილად იგნორირებულია შშმ პირთა საჭიროებები, მათი ხმა უგულებელყოფილია, იზღუდება მათი უფლებები და მათთვის არ არის უზრუნველყოფილი უსაფრთხო ცხოვრება და გადაადგილება.

პრიორიტეტული ამოცანის 1.3. აქტივობა „ინდივიდუალური მობილობის უნარ-ჩვევების სწავლება“ შედეგსა და ინდიკატორში შესაძლოა მიეთითოს ღონისძიებაში მონაწილე შშმ ქალთა და კაცთა წილი.

მეორე სტრატეგიული მიმართულების ამოცანები, აქტივობები და ინდიკატორები ასევე არ მოიცავს გენდერულ პერსპექტივას. გამონაკლისია ამოცანის 2.2.- ჯანმრთელობის დაცვის აქტივობა 2.2.2 შშმ პირთათვის სკრინინგ ცენტრების მისაწვდომობა, სადაც შშმ ქალთა საჭიროებებია აქცენტირებული.

სამოქმედო გეგმის მესამე და მეოთხე სტრატეგიული მიმართულების ამოცანები და ინდიკატორები ასევე მოკლებულია გენდერულ ხედვას. განსაკუთრებით, პრიორიტეტული ამოცანა **4.2. „სტატისტიკა და მონაცემთა შეგროვება“ უნდა მოიცავდეს გენდერულ ჭრილში მონაცემების შეგროვებას.**

ლაგოდეხი: შშმ პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმა მოიცავს ერთ მიზანსა და ერთ ამოცანას, მაგრამ 8 აქტივობას. მათი გაზომვადობის მაჩვენებლები, დროში შესრულების ვადა, პარტნიორი უწყება და დაფინანსების წყარო დაზუსტებულია.

მიზნის მიღწევის აქტივობა 1.1.1. მოიცავს ცხელი ხაზის ამოქმედებას, რომლის საშუალებითაც შშმ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია. უმჯობესია, თუ დაკონკრეტდება, რომ ასევე მიეწოდოთ ინფორმაცია არსებული პროგრამების შესახებ. აქტივობა 1.1.5. - შშმ პირთა ჩართულობითა და თანამონაწილეობით კულტურული ღონისძიებების ჩატარება - არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს, მაგალითად, შესაძლებელია შშმ ქალთა ჩართულობისკენ მიმართულ ძალისხმევის ღონისძიებებისა და მათი რაოდენობის მაჩვენებლების დამატება.

მნიშვნელოვანია აქტივობა 1.1.6. შშმ პირებისთვის სასწავლო ტრენინგ-კურსის ჩატარება, სადაც შესაძლებელია აგრეთვე აქცენტის გაკეთება შშმ ქალთა უფლებებზე და მათი ჩართულობის გაზრდაზე. ინდიკატორში შესაძლოა მიეთითოს ტრენინგში მონაწილე შშმ ქალთა და მამაკაცთა რაოდენობა. აგრეთვე, აქტივობა 1.1.7. შშმ პირებისთვის სპორტული ღონისძიების მოწყობა შესაძლოა გაიზომოს გენდერულ ჭრილში რაოდენობრივად და შშმ ქალთა რაოდენობის გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები დაემატოს.

სიღნაღი: წარმოდგენილია საჭიროებების კვლევის ანგარიში, რომელშიც გენდერული პერსპექტივა არ ჩანს. ანგარიში არ იძლევა ინფორმაციას სიღნაღში მცხოვრები შშმ ქალთა რაოდენობისა და მათი საჭიროებების შესახებ. კვლევაში მონაწილეთა დემოგრაფიული (კერძოდ, მათი სქესი) მითითებული არ არის. გენდერული საკითხები არც რეკომენდაციებშია გათვალისწინებული.

შემუშავებული **სიღნაღის** 2022-2024 წლების სამოქმედო გეგმა შედარებით სრულყოფილად არის წარმოდგენილი და დასაბუთებული. აღწერილია ღონისძიებათა შედეგები და შედეგის ინდიკატორი, აგრეთვე პასუხისმგებელი უწყება. გეგმა მოიცავს 14 ამოცანას, რომელთაგან ერთ-ერთი უშუალოდ უკავშირდება გენდერულ საკითხებს: 3.3. გენდერის თემების მეინსტრიმიზაცია შშმ პირთა უფლებების რეალიზებაში. მისასალმებელია, რომ აღწერილია ამ ამოცანის განსახორციელებლად საჭირო სამი ძირითადი ღონისძიება, თითოეული მათგანის მოსალოდნელი შედეგები, ინდიკატორები, განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო და განხორციელების ვადა.

ჭუთაისი: სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია ერთი მიზანი და ამოცანა, რომელთა მისაღწევადაც განსაზღვრულია 8 აქტივობა (აღსანიშნავია ტექნიკური ხარვეზი: აქტივობა 1.1.5 და 1.1.6 ერთი და იგივეა. 1.1.9 გამორჩენილია და 1.1.8-ის შემდეგ აქტივობა 1.1.10 არის მითითებული). გეგმაში დაფინანსების წყარო დასაზუსტებელია და აქტივობის შედეგების ინდიკატორი დასაკონკრეტებელია.

მნიშვნელოვანი ღონისძიება არის დაგეგმილი აქტივობით 1.1.1. - „სოციალური პროგრამების ფარგლებში, საგრანტო კონკურსის გამოცხადება, რომელიც მიზნად ისახავს შშმ პირებისა და მათ საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების დაფინანსებას საგრანტო კონკურსის პრინციპით მათი დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიზნით“. აქ გენდერული პერსპექტივა ორგვარად შეიძლება ჩაერთოს: (1) საგრანტო კონკურსის კრიტერიუმები მოიცავდეს შშმ ქალთა საჭიროებებზე მიმართულ ორგანიზაციებს, ასევე შშმ ქალთა დასაქმებისა და პროფესიული განვითარების მიზნებს, (2) კონკურსის კომისიაში ქალთა მონაწილეობა, რათა გამარჯვებულ საგრანტო პროექტში გათვალისწინებული იყოს შშმ ქალები. ინდიკატორი კი რაოდენობრივად ასახავდეს შშმ ქალებსა და/ან მათ ორგანიზაციებს.

აქტივობა 1.1.4. შშმ პირთა უფლებებზე ტრენინგი ასევე არ მოიცავს გენდერულ ასპექტებს, კერძოდ, შშმ ქალთა უფლებების შესახებ ცნობიერების ამაღლების საკითხებს.

მნიშვნელოვანი ღონისძიებაა აქტივობა 1.1.7. - „ქალაქის ბიუჯეტირებისა და მართვაში შშმ პირებისა და მათი წარმომადგენლების ჩართულობა“. მაგრამ კვლავ გასათვალისწინებელია გენდერული საკითხები. საჭიროა მეტი ძალისხმევა შშმ ქალთა ჩართულობისთვის ბიუჯეტირების პროცესში და გენდერული ასპექტების გათვალისწინება ქალაქის ბიუჯეტში. შედეგების ინდიკატორში შესაძლოა აისახოს შშმ ქალთა რაოდენობა, რომლებიც დასაქმდნენ ქალაქის მმართველობის ორგანოებში, ასევე სხდომებზე დასწრების გენდერული სტატისტიკა.

აქტივობაში 1.1.10. „შშმ პირებისა და მათი საჭიროებებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო დღეებისათვის შესაბამისი ღონისძიებების ორგანიზება საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით“ გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება შესაძლებელია შშმ ქალთა ჩართულობის გაზრდით, თუმცა არა მხოლოდ შშმ პირთათვის სპეციალურად მოწყობილ

ღონისძიებებში, არამედ სხვა ღონისძიებებშიც, რაც ქალაქში იმართება, მათი მონაწილეობისა თუ დასწრების გზით.

ბაღდათი: სამოქმედო გეგმა მოიცავს ერთ მიზანს, ერთ ამოცანას და ხუთ აქტივობას. გეგმის მიხედვით, აქცენტი პარასპორტზე კეთდება, სადაც შესაძლებელი იქნებოდა შშმ ქალთა ჩართულობის მექანიზმების გაძლიერება. გარდა ამისა, აქტივობა 1.1.4 და 1.1.5-ით გათვალისწინებულ ღონისძიებებში შესაძლებელი იქნებოდა შშმ ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და შშმ ქალების გადაწყვეტილების მიღებაში ჩართვა, რათა ადგილობრივ დონეზე მათი საჭიროებები გამოიკვეთოს.

საჩხერე: მუნიციპალიტეტი გეგმავს ერთი მიზნისა და ამოცანის მიღწევას 5 აქტივობით, რათა განახორციელოს შშმ პირთა 2022 წლის სამოქმედო გეგმა. აქცენტი შენობა-ნაგებობების მისაწვდომობაზე, თანამშრომელთა გადამზადებაზე და შშმ პირთა ჩართულობაზე კეთდება, როგორც ეს ზემოთ განხილულ სამოქმედო გეგმებშია.

აქტივობა 1.1.4. თანამშრომელთა ცნობიერების ამაღლება შესაძლებელია მოიცავდეს შშმ ქალთა უფლებების შესახებ მათ ინფორმირებულობას. აგრეთვე, თანამშრომელთა გენდერულ მაჩვენებლებს ინდიკატორში. აქტივობა 1.1.5. შესაძლოა ითვალისწინებდეს შშმ ქალთა და მათი ორგანიზაციების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხოლო ინდიკატორში გენდერული პერსპექტივის ასახვას.

ლანჩხუთი: სამოქმედო გეგმის მიხედვით, ერთი მიზანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სისტემური გარანტიების გაძლიერება და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მათი მონაწილეობის გაზრდა და ერთი ამოცანა შშმ პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და მისაწვდომის გარანტიების გაძლიერება.

განხორციელდება 5 აქტივობით. აქტივობებს 1.1.4. და 1.1.5. შესაძლოა დაემატოს გენდერული საკითხები. კერძოდ, თანამშრომელთა გადამზადებისას გათვალისწინებული იყოს შშმ ქალთა საკითხებზე მათი ინფორმირებულობის გაზრდა, ხოლო ინდიკატორში მიეთითოს გადამზადებულ ქალ და მამაკაც თანამშრომელთა შეფარდება. აგრეთვე, აქტივობას „გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდა“ დაემატოს შშმ ქალებისა და მათ უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობა, ხოლო ინდიკატორები მათ რაოდენობას მოიცავდეს.

ოზურგეთი: ერთი მიზნისა და 2 ამოცანის მიღწევა დაგეგმილია 4 აქტივობის განხორციელებით. დაფინანსების წყაროში უმჯობესია კონკრეტული დონორი ორგანიზაცია იყოს მითითებული, ნაცვლად „ასევე სხვა დონორი ორგანიზიებისა“. შეფასების ინდიკატორები დასაკონკრეტებელია და გენდერული მაჩვენებლებს არ მოიცავს.

აქტივობა 1.1.1. - ტრენინგი საბჭოს წევრებისთვის შესაძლებელია მოიცავდეს გენდერული საკითხების ტრენინგსაც და მონაწილე პირთა გენდერულ სტატისტიკას. აქტივობას 1.1.2. შშმ პირთა მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებებში შესაძლოა მოიცავდეს შშმ ქალთა ჩართულობის გაზრდის აქტივობებსა და მათ რაოდენობას. ასევე, აქტივობა 1.1.3. „შშმ პირთა კანდაცვისა და სოციალური პროგრამის განხორციელება“ არ მოიცავს გენდერულ პერსპექტივას. კერძოდ, შშმ ქალთა სპეციფიკური საჭიროებები არ არის იდენტიფიცირებული და მათ საჭიროებებზე მიმართული პროგრამები არ არის

გათვალისწინებული. ამასთან, მაჩვენებლები არ მოიცავს ინფორმაციას შშმ ქალ ბენეფიციართა რაოდენობის შესახებ.

ამბროლაური: წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მოიცავს ერთ მიზანს, ერთ ამოცანას და 5 აქტივობას. მათი გაზომვადობის მაჩვენებლები დაზუსტებული არ არის, დროში შესრულების ვადა, პარტნიორი უწყება და დაფინანსების წყარო მაგალითების სახით არის წარმოდგენილი. აქცენტი კეთდება შენობა-ნაგებობების ადაპტირებაზე, რომლის დასრულებასაც გეგმა არ ითვალისწინებს. ინდიკატორები სრულყოფილი არ არის.

სამოქმედო გეგმა გენდერულ საკითხებს არ ფარავს. თუმცა, თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლება და მათი ცნობიერების ამაღლების აქტივობები (აქტივობა 1.1.1. და 1.1.4.) შესაძლებელია მოიცავდეს აგრეთვე გენდერულ ასპექტებს, კერძოდ, თანამშრომელთა ინფორმირებულობას გენდერულ საკითხებზე, რათა მათ შეძლონ ქალთა სპეციფიკური საჭიროებების გამოკვეთა. ასევე, შშმ პირთა და უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციების ჩართულობის გაზრდის აქტივობა 1.1.5. შესაძლოა ითვალისწინებდეს შშმ ქალთა ჩართულობის გაზრდას, რადგან მეტი ძალისხმევა არის საჭირო ქალთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

ონი: მუნიციპალიტეტი გეგმავს 7 მიზნისა და 7 ამოცანის განხორციელებას 15 აქტივობის მეშვეობით პარტნიორ უწყებებთან ერთად. აქტივობების შედეგების ინდიკატორი არ შეიცავს ზუსტ მაჩვენებლებს, რითიც შედეგის შეფასება შესაძლებელი გახდება. აქტივობა 1.1.2 მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთა აღრიცხვას, სადაც მითითებული არ არის აღრიცხვის ინდიკატორები: იქნება ეს მხოლოდ შშმ პირთა რაოდენობის დადგენა, თუ მათი დემოგრაფიული მაჩვენებლებით აღწერა, როგორიცაა სქესის, ასაკის, საჭიროების, საცხოვრებელი ადგილის და ა.შ. მიხედვით. აქტივობა 2.2.1 ნათლად არ აღწერს, თუ რა საკითხების შესახებ მოხდება ცნობიერების ამაღლება და იქნება თუ არა მათ შორის, გენდერული საკითხებიც. ყველა აქტივობა შესაძლებელია მოიცავდეს ინდიკატორებს გენდერულ ჭრილში.

ნაწილი II

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტების შეფასება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და გენდერული პერსპექტივებიდან

ბოლო წლებში გენდერული ბიუჯეტი გახდა ეფექტური ინსტრუმენტი ქალთა გაძლიერების პოლიტიკურ რიტორიკასა და მისთვის გამოყოფილ რესურსებს შორის არსებული ხარვეზების დასადგენად. საჭიროა მსგავსი ღონისძიების განხორციელება შშმ პირთა პოლიტიკის დოკუმენტებში ასახვისთვისაც. აუცილებელია შემუშავდეს შშმ პირთა ბიუჯეტის პროტოკოლი და, რაც მთავარია, გენდერული და შშმ პირთა ბიუჯეტის კომბინირებული ინსტრუმენტი, რათა უზრუნველყოს შშმ ქალების გამორიცხვა სახელმწიფო ასიგნებებიდან.

შშმ პირთა სამოქმედო გეგმის განხორციელება მოითხოვს ბიუჯეტის შესაბამისად დაგეგმვას და შშმ პირთა საკითხების მოგვარებისთვის საჭირო ფინანსების გაჩენას ბიუჯეტში. ამიტომ შეფასდა სამიზნე მუნიციპალიტეტების პროგრამების ბიუჯეტები შშმ

პირთა და გენდერული პერსპქტივიდან. გაანალიზდა სამიზნე მუნიციპალიტეტების (თბილისი, თელავი, ლაგოდეხი, სიღნაღი, ქუთაისი, ბაღდათი, საჩხერე, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ამბროლაური, მესტია და ონი) პროგრამები და ბიუჯეტები.

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტები არ არის გენდერულად მგრძნობიარე და არ მოიცავს გენდერულ საკითხებს. პროგრამებსა და ქვე-პროგრამებში გენდერული პერსპექტივა გამოტოვებულია. გამონაკლისია ოთხი მუნიციპალიტეტი, მათ შორის, ბაღდათი, რომლის ბიუჯეტიც მოიცავს გენდერული თანასწორობის ხელშეწყობას (კოდი 06 03), რომელთა შორის გათვალისწინებულია შშმ პირები და ხანდაზმულები. პროგრამის მიზანია გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და ქალთა ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა. ასევე ***თბილისის*** ბიუჯეტი მოიცავს მეწარმე ქალთა მხარდაჭერას (კოდი 04 01). მაგრამ არ არიან გათვალისწინებული შშმ ქალები. ***ლანჩხუთის*** ბიუჯეტი ათინანსებს ქალთა სპორტის ხელშეწყობას. გენდერული თანასოწორებისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა მითითებული აქვს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში, რომელიც გათვლილია 3 ბენეფიციარზე. გარდა ამისა, ***ოზურგეთის*** ბიუჯეტი ითვალისწინებს „საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას გენდერული თანასწორობის საკითხებზე და ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის ხელშემწყობი გარემოს შექმნას“ არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში. სპორტის ხელშეწყობის პროგრამაში მონაწილე საჯარო და სამრევლო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობის სტატისტიკა მოცემულია გენდერულ ჭრილში - ვაჟთა და ქალთა რაოდენობა. მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს „ქალი მეწარმეების წახალისებას მათთვის საჭირო აქტივობების შეთავაზებით“.

შშმ პირთა საკითხები მითითებულია შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში, მაგრამ უმეტესწილად გამოტოვებულია **გენდერული საკითხები:**

თბილისი: ბიუჯეტში მითითებულია სატრანსპორტო და საგზაო ინფრასტრუქტურის ადაპტირება შშმ პირთა მოთხოვნებთან/ პირობებთან. აგრეთვე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის ადაპტირებას შშმ პირთა მოთხოვნებთან/ პირობებთან. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა კი ეხმარება შშმ პირებს და მათ ინტეგრაციას საზოგადოებაში. ბიუჯეტი ათინანსებს სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამას (კოდი 06 02 22), სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარების ქვეპროგრამას (კოდი 06 02 24), შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ქვეპროგრამას (კოდი 06 02 28), პარსპორტის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამას (კოდი 08 06 06), ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობის პროგრამას (კოდი 08 13), და შშმ ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურებას (კოდი 06 02 04). ხოლო შშმ ბავშვთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები მითითებულია სოციალური მზრუნველობის სააგენტოს ხელშეწყობის პროგრამაში (კოდი 06 02 07). შინმოვლის თანადაფინანსების ქვეპროგრამა (კოდი 06 02 26) მოიცავს შშმ პირებსაც,

თელავი: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის ქვეპროგრამა ხორციელდება ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამის ფარგლებში. შშმ პირები წარმოადგენენ ბიუჯეტით გათვალისწინებულ სხვადასხვა დახმარების ღონისძიებების ბენეფიციარებს.

ლაგოდეხი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური დაცვის პროგრამა მოიცავს შშმ პირთა სოციალური დაცვის ქვეპროგრამას. სტუდენტების დახმარების პრგორამაში შშმ პირებიც აღნიშნულია. ასევე არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შშმ ბავშვა (18 წლის ასაკამდე) დახმარების პრგორამა.

სიღნაღი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მითითებულია შშმ პირთა მატერიალური და სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა.

ქუთაისი: ბიუჯეტი ითვალისწინებს ქვეპროგრამას „გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება“, რომელიც ადაპტირების საკითხებსაც ფარავს. „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის“ ქვეპროგრამა მიზნად ისახავს ეზოების ადაპტირებას, ხოლო „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამა ასევე ითვალისწინებს შშმ პირების საჭიროებებს. მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამა კი „შშმ პირების სწრაფ, უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას“ ითვალისწინებს. ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრირება მოხდება. ბიუჯეტი ასევე ფარავს შშმ პირთა დახმარების ქვეპროგრამას და შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტების დაფინანსების ქვეპროგრამას.

ბაღდათი: შეზღდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა და შშმ პირთა დახმარება გათვალისწინებულია, მათ შორის, გზების რეაბილიტაცია მითითებულია ბიუჯეტის პრიორიტეტებში 2022-2025 წლებისათვის. სპორტის განვითარების ხელშეწყობაში გათვალისწინებულია ქალთა სპორტის ხელშეწყობა.

საჩხერე: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი ფარავს შშმ პირთა სოციალურ დაცვას. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირების ქვეპროგრამა მოიცავს ინკლუზიური განათლების საკითხებს და ადაპტირებულ შენობებს.

ლანჩხუთი: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სოციალური დაცვის პროგრამა მოიცავს შშმ პირთა სოციალური დაცვის ქვეპროგრამას, ხოლო ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამა - შშმ პირთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსებას. ბიუჯეტი ითვალისწინებს ახალგაზრდებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობას. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრობის პროგრამა მოიცავს შშმ ახალგაზრდების მხარდაჭერასაც და მათ საზოგადოებრივ ინტეგრაციას.

ოზურგეთი: ბიუჯეტი მოიცავს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროგრამას შშმ პირთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის. ასევე გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა და საჯარო სკოლების ადაპტირება, კულტურის დაწესებულებებში შშმ პირთებისთვის ადაპტირებული სივრცის მოწყობას, სპორტული ღონისძიებების მოწყობას შშმ პირთა მონაწილეობით. აგრეთვე მითითებულია შშმ პირთა სოციალური დახმარების პროგრამები.

ამბროლაური: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა.

ონი: ბიუჯეტი ითვალისწინებს შშმ პირთა დახმარების ღონისძიებებს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამაში.

სამიზნე მუნიციპალიტეტების 2022 წლის პროგრამები და ქვე პროგრამები, რომლებიც ეხება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს.

ცხრილი N I თბილისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**ქვე პროგრამის კოდი**	**პროგრამის დასახელება**	**ბიუჯეტი ათასებში**
06 01		ჯანმრთელობის დაცვა	23 990,9
	06 01 06	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა აბილიტაცია	5 868,4
	06 01 08	ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება	800,0
06 02		სოციალური დაცვა	152 786,1
	06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურება	1 616,6
	06 02 22	სოციალურად დაუცველი 18 წლამდე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დახმარება	808,0
	06 02 24	სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირების დახმარება	553,1
	06 02 26	შინმოვლის თანადაფინანსება	450,0
	06 02 28	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა	986,0
08 13		ინკლუზიური ხელოვნების და განათლების ხელშეწყობა	120,0

ცხრილი N I I თელავის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის აღწერა და მიზანი**	**ბიუჯეტი ათასებში**
05 01 02 01	ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება	ჩოგბურთის სპორტული ჯგუფების რაოდენობის გაზრდა, ადგილობრივი, ქვეყნის და საერთაშორისო ტურნირების ორგანიზება და მხარდაჭერა, წარმატებული სპორტსმენებისთვის, სხვადასხვა რანგის ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობა, შშმ პირთა სპორტში ჩართულობა და ინტეგრირება, სასწავლო დაწესებულებებში ბავშვთ სექციების ორგანიზება სპორტული (ჩოგბურთის) ორიენტაციის განვითარების ხელშეწყობისთვის. წარმატებული სპორტსმენების აღჭურვა შესაბამისი სპორტული ინვენტარით და მათი	190,20 ათასი ლარი

		წახალისება, მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა, საქართველოს ასაკობრივი ნაკრები გუნდებისთვის კანდიდატების მომზადება.	
06 02 02 01	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლთა შშმპ შვილების სოციალური დაცვა	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა შ.შ.მ პირთა (18 წლამდე) შვილების დახმარება. აღნიშნულ პროგრამით თითოეულ ბავშვზე ყოველთვიურად გაიცემა თანხა 150 ლარის ოდენობით.	7800 ათასი ლარი
06 02 03	უმწეოთათვის უფასო სასადილოს დაფინანსება	თელავში მუნიციპალიტეტის მერიის უმწეოთა და უპოვართა სამსახური ემსახურება სოციალურად დაუცველ ბენეფიციარების ყოველდღიურად, დღეში ერთჯერ, საკვებით უზრუნველყოფას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მარტოხელა ბენეფიციართა ბინაზე მომსახურებაც,რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ახერხებენ გადაადგილებას. გარდა აღნიშნულისა, უფასო კვებით სარგებლობა შეუძლიათ შემდეგი სტატუსის მქონე ადამიანებს: შშმ სტატუსის მქონე ბავშვები და მათ ოჯახის წევრები, მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი)ოჯახები,მარტოხელა მშობლები შვილებთან ერთად. მომსახურებით ასევე ისარგებლებენ მოქალაქეები,რომლებიც მონაწილეობენ ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების იდენტიფიკაციის "სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მონაცემთა ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამაში".	788,0 ათასი ლარი
06 02 07	მოქალაქეთა ტრანსპორტით მგზავრობის, კომუნალურ გადასახადებზე და თხევადი აირით დახმარების ღონისძიებები	კომუნალურ (ელექტროენერგიის) გადასახადებზე დახმარების პროგრამით აღნიშნული პროგრამით მოსარგებლე კატეგორია:თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მკვეთრად გამოხატული შშმ პირები, დევნილები,შშ სტატუსის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვები,უდედმამო ბავშვები,მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები,საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლთა მარჩენალდაკარგული ოჯახები,მრავალშვილიანი ოჯახები, ვისაც ჰყავს18 წლამდე ასაკის ოთხი და მეტი შვილი და მათი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს. გაზიფიცირების გარეშე არსებულ დასახლებებში მცხოვრები ოჯახების თხევადი აირით დახმარების ქვეპროგრამით განხორციელდება თელავის მუნიციპალიტეტის სოფლებში (თეთრიწყლები, კობაძე, პანტიანი, სეროდანი, ნადიკვარი, ლეჩური) მუდმივად მცხოვრები 149 ოჯახის თხევადი გაზით დახმარება ყოველთვიურად თითოეულ ოჯახზე 15 ლიტრის ოდენობით. აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე	145.00 ათასი ლარი

		მგზავრთა შეუფერხებელი გადაადგილებისათვის გამოყოფილია ტრანსპორტი, რომელთა საშუალებითაც მთელი წლის განმავლობაში, სოფლებში, სადაც არ ხდება ტრანსპორტის რეგულარული მოძრაობა (განსაკუთრებით სასწავლო წლის პერიოდში) მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყოს შეუფერხებლად და კომფორტულად გადაადგილება.	
06 02 08	დროებითი გადახდებით უზრუნველყოფის ღონისძიებები	პროგრამით მოსარგებელ კატეგორია: ოჯახებს ვისაც აქვთ საცხოვრებლად უვარგისი ბინები ან საერთოდ არ გააჩნიათ საცხოვრებელი. მოსარგებლე კატეგორია თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებილი სოციალურად დაუცევლი ოჯახები, ძალადობის მსხვერპლი პირები,მარტოხელა მშობლები, მრავალშვილიანი ოჯახები,შშმ პირთა ოჯახები, პირები, რომლებიც გასული არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან. აღნიშნული კატეგორია დაფინანსდება თვეში 100 ლარის ფარგლებში.	120,0 ათასი ლარი
06 02 09	სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების ღონისძიებები	საერო, რელიგიურ და სხვა სახის დღესასწაულებზე პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სასაჩუქრე ამანათების ან/და ფულადი თანხების გაცემა, ასევე სხვადასხვა ღონისძიებების მოწყობა. სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ : მრავალშვილიანი ოჯახები სადაც 18 წლამდე 4 და მეტი ბავშვია და რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 200 000-ს,უდედმამო ბავშვები, 100 წელს გადაცილებული მოხუცები, შშმ პირები, შშ სტატუსის მქონე ბავშვები,ომის მონაწილეები, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა 18 წლამდე ასაკის შვილები, 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულთა და დაღუპულთა ოჯახები, იძულებით გადაადგილებული პირები,სოციალურად დაუცველი ოჯახები,მარტოხელა მშობლები ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები, მარჩენალდაკარგული ოჯახები, ვისაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილები და ახალშობილთა ოჯახები.	40.00 ათასი ლარი
06 02 10	სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტებით დახმარების ღონისძიებები	პროგრამა ითვალისწინებს ასევე ბენეფიციართა სამედიცინო დანიშნულების დამხმარე საშუალებებითა დამედიკამენტებით უზრუნველყოფას, დახმარების მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150	1008,46 ათასი ლარი

		000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლები, მარჩენალდაკარგულები, მკვეთრი შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. დაფინანსება მოხდება 300 ლარის ფარგლებში 100%-ით. პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ოპერაციული, ისე სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურეობის, მათ შორის რეაბილიტაციის და სხვადასხვა სადიაგნოსტიკო ღონისძიებების განხორციელების თანადაფინანსებას მიმღებ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ის პირები, რომელთაც ფაქტიური საცხოვრებელი აქვთ თელავის მუნიციპალიტეტი და მათი მოქმედი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობელი, მკვეთრად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე, მარჩენალდაკარგული, იძულებით გადაადგილებული პირები და 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის შედეგად დაზარალებულები. სამედიცინო მომსახურეობის დაფინანსება მოხდება პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხის 80%-ით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს. ხოლო თუ პაციენტის მხრიდან გადასახდელი თანხა აღემატება 4000 ლარს დაფინასდეს 1500 ლარით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდების სტომატოლოგიური მომსახურების დაფინანსებას. პროგრამის ბენეფიციარები არიან სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი მოზარდები, კერძოდ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მცხოვრები.	
06 02 11	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია შ.შ.მ.პირთა სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხარჯების თანადაფინანსება, აღნიშნულის ფარგლებში ხორციელდება ააიპ „ალტერ ეგო“-ს მიერ განსახორციელებელი პროექტის, თელავის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფსიქიკური აშლილობის მქონე მოზრდილი ასაკის შშმ პირებისათვის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დღის ცენტრის მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდა და მათი შემდგომში დასაქმების	81,25 ათასი ლარი

		ხელშეწყობა სარეაბილიტაციო მომსახურების - დაცული სახელოსნოს მომსახურების ამოქმედების თანადაფინანსება, საქართველოს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის ასოციაციის მიერ განსახორციელებელი პროექტის, შშმ ბავშვთა დღის ცენტრის პროგრამის, თანადაფინანსება. ქვეპროგრამით განხორციელდება აგრეთვე მკურნალობის დაფინანსება სმენადაქვეითებული ბავშვების ოპერაციის შემდგომი რეაბილიტაციის პროცესში სმენისა და მეტყველების გაუმჯობესებისათვის, ასევე აუტისტური სპექტრის, ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, ქცევის დარღვევის და განვითარების სხვადასხვა დარღვევების მქონე ბავშვებთან სოციალური კომპეტენციის, ემოციური ბალანსის, სხეულის აღქმის, კონცენტრაციის უნარის, ენისა და მეტყველების,მსხვილი და ნატიფი მოტორიკის გასაუმჯობესებლად ნორდოფ-რობინსის მეთოდით, რომელიც მიზნად ისახავს მუსიკის საშუალებით ბავშვებთან კომუნიკაციის დამყარებას, უნარების განვითარებას, ქცევის მართვას, ემოციური რეგულაციების გაუმჯობესებას. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე თელავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18 წლამდე ასაკის სმენადაქვეითებული/კოხრეალური იმპლანტის მომხმარებელ ბავშვთა შიდა იმპლანტზე მიმაგრებული გარე მეტყველების პროცესორის ღირებულების თანადაფინანსებას. თანადაფინანსების ოდენობა თითოეულ ბენეფიციარზე განისაზღვრება 10,000 ლარით.	

ცხრილი N I I I ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის აღწერა და მიზანი**	**ბიუჯეტი ათასებში**
05 02	სოციალური დაცვა	აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება; სოციალურად დაუცველთა დახმარების სისტემის სრულყოფა; მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა;ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით დახმარება; იშვიათი, თანდაყოლილი, მძიმე დაავადების მქონე 18(წლამდე) ასაკის პაციენტები; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, თირკმელებით დაავადებული მოქალაქეები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან დიალიზზე, მათი ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა; 100 წლის და მეტი ასაკის	**946.4 ათასი ლარი**

		მოხუცებულთა სოციალური დაცვა; მარტოხელა მშობლების, ობოლ და მზრუნველობამოკლებული ბავშვების, დედ-მამით ობოლი ბავშვების; ახალშობილებისა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა;დევნილთა ოჯახების დახმარება; ვეტერანთა ინტერესების დაცვა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფა; ასევე მათი ოჯახების ინტერესების დაცვა. უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა ჩართვა უფასო კვებით მომსახურებაში;საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს კოორდინირება; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათი სოციალური ინტეგრაცია;უსახლკაროთა რეგისტრაცია, მათი უზრუნველყოფა დროებითი თავშესაფრით (ბინის ქირის უზრუნველყოფა).. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე დედით და მამით ობოლი და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების წახალისება ერთჯერადად; უსინათლო ოჯახების სოციალური დაცვა.	
06 02	სოციალური დაცვა	აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება; სოციალურად დაუცველთა დახმარების სისტემის სრულყოფა; მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა;ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტთა მედიკამენტებით დახმარება; იშვიათი,თანდაყოლილი, მძიმე დაავადების მქონე 18(წლამდე) ასაკის პაციენტები; ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, თირკმელებით დაავადებული მოქალაქეები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან დიალიზზე, მათი ტრანსპორტირების ხარჯით უზრუნველყოფა; 100 წლის და მეტი ასაკის მოხუცებულთა სოციალური დაცვა; მარტოხელა მშობლების, ობოლ და მზრუნველობამოკლებული ბავშვების, დედ-მამით ობოლი ბავშვების; ახალშობილებისა და მრავალშვილიანი ოჯახების სოციალური დაცვა;დევნილთა ოჯახების დახმარება; ვეტერანთა ინტერესების დაცვა; საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფა; ასევე მათი ოჯახების ინტერესების დაცვა. უკიდურესად გაჭირვებულ მოქალაქეთა ჩართვა უფასო კვებით მომსახურებაში;საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს კოორდინირება; სოციალურად დაუცველი მოსახლეობის, ხანდაზმულების ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათი სოციალური ინტეგრაცია;უსახლკაროთა რეგისტრაცია, მათი უზრუნველყოფა დროებითი თავშესაფრით (ბინის ქირის უზრუნველყოფა).. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე დედით და მამით ობოლი და მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტების წახალისება	

		ერთჯერადად; უსინათლო ოჯახების სოციალური დაცვა.	
06 02 05	სტუდენტების დახმარების პროგრამა	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ამავდროულად ფაქტობრივად მაცხოვრებელი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების, დედით და მამით ობოლი სტუდენტების სწავლის საფასურის თანადაფინანსება- 500 ლარის ოდენობით. მაღალი აკადემიური მოსწრების (91 დან 100 ქულის) მქონე სტუდენტების წახალისება ერთჯერადად - 1000 ლარის ოდენობით. პროგრამა ხელს უწყობს განათლების სრულფასოვნად მიღებას. ყოველწლიურად პროგრამით შესაძლებელი იქნება - 20 სტუდენტის დახმარება. ქვეპროგრამის მიზანია: მაღალი აკადემიური მოსწრების, სტუდენტების წახალისება.	115 000.00
06 02 06	მზრუნველობამოკლებულ თა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში. ქვეპროგრამით შესაძლებელი იქნება 140 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია: უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვებით უზრუნველყოფა.	121.5
06 02 09	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ხანძარისა და მეწყერისაგან დაზარალებული, ასევე საცხოვრებლად უვარგისი სახლების მქონე ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ბენეფიციარებზე ბინის ქირის გადახდა თვეში არაუმეტეს 150 (ასორმოცდაათი) ლარისა. ამავე პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ძალადობის მსხვერპლ ქალთა დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის მიზანია: ქვეპროგრამით მოსარგებლ ე მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.	30 000 ათასი ლარი
02 06 13	შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე (პირველი ჯგუფი) პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფინანსება: . შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და მიტოვების რისკს მიღმა მყოფ პირთა ფუნქციური უნარების გაუმჯობესება; საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო ცნობიერების ამაღლება, სოციალური ინტეგრაციის და ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა. მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობის (18 წლამდე ასაკის) ბავშვთა დახმარება - 15 ლარი ყოველთვიურად, მოხმარებული ელექტრო ენერგიის ღირებულების	47000 .00

		დასაფარად; 13 ნოემბერს უსინათლოთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით უსინათლო პირთა დახმარება ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით;. ქვეპროგრამის მიზანია: დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ჩატარება. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია. შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა ფინანსური ხელშეწყობა	

ცხრილი N I V სიღნაღის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის აღწერა და მიზანი**	**ბიუჯეტი ათასებში**
06 02 01	მოსახლეობის სამედიცინო დახმარება და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა მატერიალური და სამედიცინო დახმარება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სოციალურად დაუცველი ავადმყოფი მოქალაქეებისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ასევე თითოეულ ავადმყოფზე ოპერაციების ხარჯების დაფინანსება 700 ლარამდე.	492.5
06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება დაფინანსება	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობის მძიმე სოციალური პირობების შემსუბუქება;	214,0 ათასი ლარი

ცხრილი N V ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის აღწერა და მიზანი**	**ბიუჯეტი ათასებში**
02 05 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი	ქალაქში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე,	800.00

	სახლების ეზოების კეთილმოწყობა	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ვერ ახორციელებენ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების საერთო ქონების დამოუკიდებლად მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. წლის განმავლობაში, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების დაზიანებული ეზოები ქმნის უსაფრთხოდ გადაადგილების პრობლემას. ასევე, მოუწესრიგებელი ეზოები დგას ეკოლოგიური საფრთხის წინაშე. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა, ეზოები ადაპტირებული იქნება ბავშვების, შშმ პირების, ეტლით მოსარგებლე პირების, ხანდაზმული მობინადრეების საჭიროებებზე. განხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა.	
06 01 02	მედიკამენტებით უზრუნველყოფა	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარებს მიეკუთვნებიან: ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დაფიქსირებული 70001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე პირები; ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ ბავშვები; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანები; მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული მხედველობით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები; ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე მოქალაქეები და ჰემოდიალიზზე მყოფი პაციენტები;	330.00
06 01 03	სამედიცინო დახმარება	ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, სიცოცხლისათვის საშიში დაავადების მქონე და სხვადასხვა შემთხვევების შედეგად დაავადებული, გადახდისუუნარო პირებისათვის სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება. დახმარებით ისარგებლებენ ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული, მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით დაფინანსებული პირები, გარდა იმ პირებისა, რომლებიც სარგებლობენ მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის 100% დაფინანსებით წელიწადში ერთხელ 1000 (ათასი) ლარის ფარგლებში. გამონაკლისს წარმოადგენს კარდიოლოგიური პაციენტები და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირები. კარდიოლოგიური პაციენტები დახმარებით ისარგებლებენ საჭიროებისამებრ არაერთჯერადი მომართვის საფუძველზე, წლიური ლიმიტით 1000 ლარის ფარგლებში. ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების ლიმიტი განისაზღვრება 1500 ლარის ფარგლებში, მათ ასევე, დაუფინანსდებათ ის სამედიცინო მომსახურებები, რომელიც არ ანაზღაურდება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით. რადიოლოგიური და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის შემთხვევაში (ინვაზიური, არაინვაზიური) დახმარება გაიცემა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებზე, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირებზე, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ მოქალაქეებსა და კარდიოლოგიურ პაციენტებზე.	900.00

06 02 04	სოციალური ღონისძიებები	ქვეპროგრამით განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები, გარკვეული კატეგორიის ღვაწლმოსილი, დამსახურებული და სოციალურად დაუცველი პირებისათვის ტრადიციულ დღესასწაულებთან და ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით სხვადასხვა შინაარსიის ღონისძიებების მოწყობა. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბენეფიციარების, ნათესაურ და არანათესაურ მინდობაში მყოფი შშმ პირების სამკურნალო - სარეაბილიტაციო მომსახურების გაწევა.	595.00
06 02 07	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დახმარება	ქვეპროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები არიან სახელმწიფო პროგრამით „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ მომსახურებით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირები, მათთვის უმთავრესი საჭიროების მქონე ჰიგიენური საშუალებებით, კერძოდ, ბავშვის ჰიგიენური საფენებითა და სველი სალფეთქებით დახმარება. დახმარების მთხოვნელი ყოველთვიურად, განცხადებასთან ერთად, წარმოადგენს კანონიერი წარმომადგენლის დამადასტურებელ საბუთს, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლს,შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელ მოწმობას, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოდან“ ცნობას აღნიშნული შშმ ბენეფიციარის „ბავშვთა ადრეული განვითარებისა“ და „დღის ცენტრის“ სახელმწიფო პროგრამებით სარგებლობის შესახებ, ანგარიშ-ფაქტურას აფთიაქიდან. აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, ყოველთვიურად გაიცემა 60 ლარის ღირებულების საგარანტიო წერილი.	63.00
06 02 09	უფასო კვება	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქალაქ ქუთაისის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფასო კვება დღეში ერთხელ სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის საკვების მიწოდება ოჯახებში ყოველდღიურად.	940.00
06 02 10	კოხლეარული იმპლანტი მოსარგებლე ბენეფიციართა დახმარება	ქვეპროგრამის მიზანია ქალაქ ქუთაისში რეგისტრირებული და მცხოვრები კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე, 0-18 წლამდე არასრულწლოვანი პირების ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.	20.00
06 02 14	აუტიზმის სპექტრი დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქუთაისში ბოლო 2 წლის განმავლობაში რეგისტრირებული და მცხოვრებ 2 - 15 წლის ჩათვლით ბავშვების, რომელთა ძირითადი დიაგნოზია („ICD-10“) კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული განვითარების ზოგადი აშლილობები („F84.0“; „F84.9“), სარეაბილიტაციო მომსახურებას.	1 109.00
06 02 15	შშმ პირთა მხარდაჭერაზე ორიენტირებული პროექტები დაფინანსება/თანადა ფინანსებ	ქვეპროგრამის მიზანია შშმ პირების შესაძლებლობების განვითარებისა და რეალიზებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი ისეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში მათ სრულყოფილ ინტეგრაციას. ამასთან, კიდევ უფრო ეფექტური იქნება ასეთი პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელება შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო	25.00

		საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინიციატივითა და თავად შშმ პირთა ჩართულობით.	
06 02 16	შშმ ბენეფიციარებისა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ხელშეწყობა	ქვეპროგრამის მიზანია სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ქალაქ ქუთაისში მოქმედი 18 წლამდე და 18 წელს ზემოთ ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბენეფიციარებსა და მიუსაფარ ბავშვთა საჭიროებებზე მომუშავე ორგანიზაციების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით დღის ცენტრების კომუნალური ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება.	18.00
06 02 23	მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მხედველობით მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ტიფლოტექნიკური აპარატების/ხმოვანი წნევის აპარატის, მაქრის საზომი აპარატის შეძენა	10.00
06 02 31	შშმ პირთა საერთაშორისო დღე	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება შშმ პირთა მიერ ორგანიზებული ღონისძიებების დაფინანსება.	10.00

ცხრილი N VI ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის აღწერა და მიზანი**	**ბიუჯეტი ათასებში**
02 01 02	ინფრასტრუქტურის და სივრცითი მოწყობის სამსახური	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზებული გზების და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება, შიდასასოფლო და შიდასაუბნე გზების ბეტონის საფარის მოწყობა, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა.გზების პერიოდული შეკეთება, ქუჩების სავალ ნაწილსა და ტროტუარებზე დაზიანებული გრანიტის ძელაკებისა და ფილების შეკეთება, გზის სავალ ნაწილისა და ტროტუარებზე დაზიანებული დაწნეხილი და დეკორატიული ფილების შეკეთების სამუშაოები.ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: დაზიანებული ქუჩების, ტროტუარების მოწესრიგება, არსებულ ქუჩებში ასფალტ-ბეტონის საფარის და ტროტუარის ფილების დაგება, ბორდიურების მოწყობა, ბეტონის საფარის დაგება, დეკორატიული ბოძკინტებისა და ღობურების მონტაჟი, საფეხმავლო ხიდის მშენებლობა,გზებისა და ტროტუარების საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის, შშმპ პირებისთვის ადაპტირება, უსინათლოთა ბილიკებისა და პანდუსების მოწყობა.	50.00
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	განხორციელდება სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება, სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა; წარმატებული და ნიჭიერი	418.00

		სპორტსმენების წახალისება; სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება; საწვრთნელი პროცესის ორგანიზება; სახელობითი ტურნირების ჩატარება; შშმ პირებისათვის შესაბამისი სპორტული ინვენტარის შეძენა და შესაბამისი გარემოს შექმნა, ა.(ა).ი.პ სპორტისა და მოზარდთა აქტივობის ცენტრში ბაზირებული სპორტის 9 სახეობის (ფეხბურთი, კალათბურთი, რაგბი, თავ. ჭიდაობა, ბერძნულ რომაული ჭიდაობა, ჭადრაკი, კუნგ-ფუ სანდა, კრივი, ბოჩა;) ხელშეწყობა და პოპულარიზაცია; სპორტულ ღონისძიებებში ქალთა ჩართულობის ხელშეწყობა, ფიტნეს სექტორის განვითარება	
06 02 09	შშმ პირთა დახმარება	ბაღდათის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 18 წლამდე ასაკის შშმ პირებს გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება 150 ლარის ოდენობით; უსინათლო, სმენადაქვეითებულ, ეტლით მოსარგებლე და სხვა სახის შშმ პირებს თანადაფინასება გაეწევათ მათთვის საჭირო სპეციალური მოწყობლების შეძენისას. აგრეთვე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შშმ პირთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო ღონისძიებები და თანადაფნასება გაეწევა შშმ პირს საზღვარგარეთ ჩასატერებელი სამედიცინო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად (აუცილებლობის შემთხვევაში). ეტლით მოსარგებლე შშმ პირთათვის ჰიგიენური საშუალებების შეძენა (პამპერსი, სველი ხელსახოციდა სხვა).	40.00
06 02 18	აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა დიაგნოსტირების და რეაბილიტაციის პროგრამა	მუნიციპალიტეტში მცხოვრები აუტიზმის სპექტრის დიაგნოსტირების, შეფასებისა და ქცევითი თერაპიის საჭიროების მქონე 2-15 წლამდე მოზარდების იდენტიფიცირება; მათი სოციალური ფუნქციონირების გაუმჯობესება ადრეული დიაგნოსტიკისა და რეაბილიტაციის პროცესის მხარდაჭერა.	5.0
06 03	გენდერული თანასწორობის ხელშწყობა	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელია გენდერული თანასწორობის საბჭო, პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის -ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების,მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე.იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ,სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე:	10.0

		დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე,რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს ყველა გენდერული ჯგუფის მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.	

ცხრილი N VII საჩხერის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის აღწერა და მიზანი**	**ბიუჯეტი ათასებში**
04 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფუნქციონირება	სააღმზრდელო ჯგუფებში ბავშვები განაწილებული არიან ასაკობრივი კატეგორიების შესაბამისად, საგანმანათლებლო გარემო აღჭურვილია განვითარებისთვის აუცილებელი მასალით და ინვენტარით. საბავშვო ბაღების ტერიტორია უსაფრთხოა აღსაზრდელებისთვის დათანამშრომლებისათვის, ეზო და შენობები ადაპტირებულია შშმ პირებისათვის, პერსონალი ფლობს საჭირო უნარ-ჩვევებს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით და ცენტრალური გათბობით. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვის ხარისხიანი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო სერვისების მიწოდება არის ის უმთავრესი მიზანი, რასაც საჩხერის მუნიციპალიტეტში 23 საბავშო ბაღის ათეულობით თანამშრომელი ემსახურება.	**2550.9 ათასი ლარი**
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	ავადმყოფთა სოციალური დაცვის მუხლიდან გათვალისწინებულია დახმარება საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგიტრირებულ მოქალაქეებზე, რომელიც საჭიროებენ დახმარებას, კერძოდ: ა)მოქალაქეს, რომელსაც ესაჭიროებათ გეგმიური და გადაუდებელი სტაციონარული-ქირურგიული ოპერაცია და სხვა სამედიცინო მომსახურება მიეცემათ 2000 (ორი ათასი) ლარამდე ერთჯერადად; ხოლო მოქალაქეს, რომელიც რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (100001 ნაკლები ქულის მქონე პირი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და ვეტერანის სტატუსის მქონე მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს 3000 (სამიათასი) ლარამდე თანხის ოდენობით,	**500,0**
06 02 02 01	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე არასრულწლოვან მოქალაქეს მიეცემა დახმარება ერთჯერადად 200 (ორასი) ლარის ოდენობით. რომელიც ჩაერიცხება უფლებამოსილ პირს საბანკო ანგარიშის ნომერზე. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, რომელსაც ესაჭიროება ინდივიდუალური დამხმარე საშუალება და რომელიც არ ფინანსდება ან ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიეცემა დახმარება ერთჯერადად, არაუმეტეს500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.	**55,0**
06 02 02	საქართველოს	ბენეფიციარების ტრიგერების შეფასება, ქცევის	**20,0**

02	ყრუთა კავშირის საჩხერის ფილიალის ხარჯების სუბსიდირება	მართვის პროგრამის დაგეგმვა, განხორციელება, ზედამხედველობა. ბენეფიციართა რეაბილიტაცია/აბილიტაცია. ბენეფიციართა ფსიქოლოგიური შეფასებები, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება და სოციალური ინტეგრაცია. სენსორული უნარების განვითარება, ფუნქციური უნარების განვითარება, ასევე მეტყველების, ფიზიკური და აკადემიური უნარების განვითარება. დღის ცენტრში ბავშვები სხვადასხვა აქტივობებით არიან დაკავებული, ერთ-ერთი ასეთი საქმიანობა არის სენსორული სათამაშოების დამზადება პედაგოგის დახმარებით, რაც ხელს უწყობს ბავშვებში სხვადასხვა შეგრძნების და აღქმის განვითარებას.	
06 02 04	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეს, რომელსაც შეეძინება მეოთხე ან/და მეხუთე შვილი (0-18 წლის ჩათვლით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 300 (სამასი) ლარის ოდენობით, ხოლო მეექვსედა მეტი შვილის შეძენის შემთხვევაში (0-18 წლის ჩათვლით) 1000 (ათასი) ლარის ოდენობით. 2. საჩხერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ხანდაზმულს (100 წელი და ზევით) მიეცემა დახმარება ერთჯერადად 1000(ათასი) ლარის ოდენობით. 3. აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 700 (შვიდასი) ლარამდე თანხის ოდენობით, ერთჯერადად გაეწევათ: დედით ან მამით ობოლ, მარტოხელ მშობლის სტატუსის მქონე, მრავალშვილიან ოჯახში მცხოვრებ (4 და მეტი შვილი, 20 წლის ჩათვლით), სოციალურად დაუცველ ოჯახში მცხოვრებ (რომელთაც აქვთ მინიჭებული 100000 ჩათვლით სარეიტინგო ქულა), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული მშობლის და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობლის სტუდენტებს, ხოლო შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდენტს 1000 (ათასი) ლარამდე თანხის ოდენობით.	350,0

ცხრილი N VI II ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი

კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის აღწერა და მიზანი	ბიუჯეტი ათასებში
04 03	არაფორმალური განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის გაუმჯობესების, ქალთა და მამაკაცთ უფლებების თანასწორი რეალიზაციისათვის და ადგილზე დისკრიმინაციის გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფისათვის საკითხების შესწავლა, საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა, შესაბამის წინადადებათა მომზადება და განხორციელება; შესაბამისი ღონისძიებების კოორდინირება; მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა.	60, 000

		მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან თანამშრომლობით მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის მომზადება; დოკუმენტების დახვეწის მიზნით პროცესების მართვა და შემდგომში დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელების კოორდინაცია. გენდერულ საკითხებზე ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხებზე გენდერული სტატისტიკის წარმოება; განათლების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა. მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია; დამხმარე სასწავლო მეთოდოლოგიის, ინკლუზიური განათლების პროგრამების გავრცელების ხელშეწყობა. ახალგაზრდებისა და მოსწავლეების არაფორმალური განათლების ხელშეწყობა შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობების გზით.	
040301	არაფორმალური განათლების ხელშემწყობი ღონისძიებები	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას. დაგეგმილი ღონისძიებები, რომელიც საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას თანასწორობის, ოჯახში ძალადობის საკითხებზე.	40.000
040302	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	სამოქალაქო სექტორისა და მოსახლეობის ჩართულობის ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის და მოქალაქეებისათვის კონსულტაციების გაწევა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით; მუნიციპალური სერვისის „ქალთა ოთახის“ მუშაობის კოორდინაცია; კომპეტენციის ფარგლებში სამსახურში შემოსული განცხადებების, წერილების, მიმართვების განხილვა და რეკომენდაციების შემუშავება; სამსახურის სამუშაო გეგმით და სამსახურის უფროსის, განყოფილების უფროსის ცალკეული დავალებებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;	20,000
060102	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება	სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება მათ შორის ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებს და შშმ ბავშვებს (18 წლამდე).	246,000
060106	ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება	პროგრამა ითვალისწინებს: 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული	52,000

		შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 200 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (კომპიუტერული ტომოგრაფია და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია). 2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 200 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 300 ლარის ფარგლებში ძვირადღირებულ კვლევაზე (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია).	
0602	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	პროგრამის ფარგლებში არსებული 13 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.	984,000
060202	დღის ცენტრის დაფინანსება	დღის ცენტრის ბენეფიციარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათ სოციალურ რეაბილიტაციაზე ზრუნვა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დახმარება	45,000
060204	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება	ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დახმარება 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წელს გადაცილებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა დაფინანსებას (თვის განმავლობაში არაუმეტეს 25 ბენეფიციარისა), რომლებიც სარგებლობენ საქველმოქმედო ასოციაცია „გურიას“, არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის „დღის ცენტრის“ მომსახურებით. კერძოდ: ა) ბენეფიციართა „დღის ცენტრში“ ტრანსპორტირებას; ბ) ბენეფიცირთა ყოველდღიურ მომსახურებას კვებით; გ) ბენეფიციართა სამედიცინო მომსახურებას და მედიკამენტებით უზრუნველყოფას; დ) ბენეფიციართა სანიტარიულ-ჰიგიენური და ფსიქოლოგიური მომსახურებით უზრუნველყოფას; ე) ზაფხულის სეზონზე ბენეფიციარებისათვის სარეაბილიტაციო კურსის ჩატარებას. 2. დღის ცენტრი (საქველმოქმედო ასოციაცია ,,გურია“), არაკომერციული-ჰუმანიტარული ორგანიზაციის დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 250 ლარისა ერთ ბენეფიციარზე, ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად. 3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული	215,000

		შესაძლებლობის სტატუსი (I ჯგუფი, მხოლოდ მხედველობით შშმ პირები და მხედველობით შშმ ბავშვები), უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფულადი დახმარებით 250 ლარის ოდენობით; 4. მნიშვნელოვნად გამოხატულ შშმ პირებს წლის განმავლობაში ერთჯერადად 100 ლარის ოდენობით (II ჯგუფი, მხოლოდ მხედველობით შშმ პირები, მხედველობით შშმ ბავშვები) . 5. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებს, რომელთაც მინიჭებული აქვთ მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი (გარდა მხედველობით შშმ პირებისა და მხედველობით შშმ ბავშვებისა), ასევე შშმ ბავშვებს, უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფინანსური დახმარებით, 100 ლარის ოდენობით. 6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, რომელთაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისმკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაზლებლობის) სტატუსი, უფლება აქვთ ისარგებლონ წლის განმავლობაში ერთჯერადად ფინანსური დახმარებით, 120 ლარის ოდენობით (კომუნალური სუბსიდირება), უნაღდო ანგარიშსწორებით თანხის პირად ანგარიშზე ჩარიცხვის გზით. 7. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირების ცხოვრების გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მიზნით დახმარება (წლის განმავლობაში არაუმეტეს 50000 ლარი), კერძოდ: ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შშმ პირებისათვის სპეციალური ინვენტარის ან დამხმარე საშუალებების შეძენა ან სხვა; ბ) შშმ პირებს, რომელთა ასაკი 6-დან 18 წლამდეა და რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 200001-მდეა, შესაძლებლობა ეძლევათ მიიღონ დახმარება (საჭიროების შემთხვევაში) ჰიგიენური საშუალებების (პამპერსი, თვეში არაუმეტეს 60 ლარისა) შესაძენად, უნაღდო ანგარიშსწორებით ფარმაცევტულ დაწესებულებაში, (შესაძლებელია განმცხადებელმა ერთდროულად გააკეთოს მთელი წლის მოთხოვნა). გ) (ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული შშმ პირებისათვის) წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება (ურთიერთშეთანხმებით, თანადაფინანსების შემთხვევაში მუნიციპალიტეტი იღებს ვალდებულებას, დააფინანსოს თანაგადახდის არაუმეტეს 80%); დ) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ბენეფიციარებისათვის, ბავშვთა ადრეული განვითარების პროგრამაში (ან სხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში (0-18 მდე)) ჩართული ბენეფიციარებისთვის სერვისის მისაღებად ტრანსპორტირების ხარჯების (სრული ან ნაწილობრივი) ანაზღაურებაში ფინანსური (უნაღდო ანგარიშსწორებით) დახმარება (შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დაფინანსებული ტრანსპორტირების შესაბამისი ვიზიტების დამადასტურებელი დოკუმენტი ბენეფიციარისგან).	

		8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ან სხვა ფსიქოლოგიური აშლილობის) მქონე ბავშვებს (7-18 წლამდე, გამონაკლის შემთხვევაში 0-დან 7 წლამდე), რომლებიც ჩართული არიან ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში, უფლება აქვთ მიიღონ ყოველთვიური დახმარება, (საჭიროების შემთხვევაში - ყოველთვიურად წლის განმავლობაში) მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში შემდეგი ოდენობით (შესაბამისი სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს დაფინანსებული სეანსების შესაბამისი ვიზიტების და თანაგადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ბენეფიციარისგან): ა) ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 70001-მდეა, მიიღებენ 90%-იან თანაგადახდას (თვეში 20 სეანსი) არაუმეტეს 360 ლარისა; ბ) ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 70000-დან 150001-მდეა, მიიღებენ 70%-იან თანაგადახდას (თვეში 20 სეანსი) არაუმეტეს 280 ლარისა; გ) ბავშვები, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 150000-დან 250001-მდეა, მიიღებენ 50%-იან თანაგადახდას (თვეში 20 სეანსი) არაუმეტეს 200 ლარისა.	
060207	ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნასთან დაკავშირებით სოციალური მხარდაჭერა	საქართველოში ოფიციალურად დადგენილი დღეების (3-8 მარტი, 9 აპრილი, 9 მაისი, 8 აგვისტო, 27 სექტემბერი, 3 დეკემბერი) აღნიშვნას, თაიგულების შეძენას, ბენეფიციარების ფულად დახმარებას.	11,000
060212	ძალადობის მსხვერპლის სტატუსი მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა	გენდერული თანასწორობის საბჭოს სამოქმედო გეგმის მიხედვით განსაზღვრულია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება; კერძოდ, 3.2. მიზანის მიხედვით, დაგეგმილია და გატარებულია ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციული ღონისძიებები. ხოლო ამოცანა 3.2.3. კი ითვალისწინებს, რომ შემუშავებულია ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთათვის/ სავარაუდო მსხვერპლთათვის დახმარების პროგრამა. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან მცხოვრებ ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირებს გაუწიოს ერთჯერადი დახმარება ფულადი ფორმით 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით.	10,000

ცხრილი N I X ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი

კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის აღწერა და მიზანი	ბიუჯეტი ათასებში
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	პროგრამის ფარგლებში შესაძლებელი იქნება: მუნიციპალური ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება;. განხორციელდება და	14, 0

		დაფინანსდება სხვადასხვა მიმართულების ახალგაზრდული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ახალგაზრული საქმიანობის განვითარებას, ახალგაზრდების გააქტიურებას და მათი ჩართულობის ზრდას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გაიზრდება ახალგაზრდებისთვის არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა; მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ორგანიზებული შშმ პირების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების მოწყობა და აღნიშნულ ღონისძიებებში ჩართული შშმ ახალგაზრდების მხარდაჭერა; განხორციელდება პროექტების თანადაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს შშმ ახალგაზრდების საზოგადოებაში ინტეგრაციასა და მათი ცნობიერების ამაღლებას; პროგრამის მიზანია:მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული საქმიანობის ხელშეწყობა და ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა პროექტების ფინანსური მხარდაჭერა; თავისუფალი დროის ეფექტურად და შინაარსიანად ხარჯვის ორგანიზება, ლანჩხუთელი ახალგაზრდების ინტელექტუალური, ფიზიკური და სულიერი პოტენციალის გამოვლენა, ინოვაციური იდეების მქონე საინიციატივო ჯგუფების ხელშეწყობა, შშმ ახალგაზრდებისათვის ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, მათი ჩართულობის გაზრდა და ინტეგრაცია საზოგადოებრივ ცხოვრებაში, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტული აქტივობებში.	
06 02 06	მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში და მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში ბენეფიციართათვის კვირაში სამჯერ საკვების მიწოდება ოჯახში. სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით.	130, 0
06 02 10	,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს სარეაბილიტაციო თანადაფინანსების პროგრამა,	განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნაადრევ ეტაპზე კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალების მხარდაჭერას მათი შემდგომი რეაბილიტაციის მიზნით. პროგრამა ითვალისწინებს: გამარჯვებულ ქალთა კლუბის წევრების შეხვედრები ფსიქოლოგთან,თემატური საქმიანობა, არტთერაპიის კომპონენტებით ;სამედიცინო კვლევები კლუბის წევრი ქალბატონებისათვის ;მოწვეული სპეციალისტების მომსახურება;პაციენტების ტრანსპორტირება კვლევებზე(თბილისი და ზუგდიდი);საგანმანათლებლო და კულტურული ღონისძიების ორგანიზება; საინფორმაციო მასალის მომზადება და ბეწდვა ონკოპაციენტებისათვის ; რეგიონალური კოორდინატორის მომსახურება ;საოფისე საჭიროება (კომუნიკაცია, ინტერნეტი და დასუფთავება); მოწვეული სპეციალისტების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფა; პროგრამის საოპერაციო ხარჯი .	40,2
06 02 16	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარები, რომლებიც საჭიროებენ სარეაბილიტაციო კურსის გავლას ურეკში, მუნიციპალიტეტი დააფინანსებს ამ ბენეფიციარების სარეაბილიტაციო კურსს სრულად და ასევე, მათი თანმხლები პირის ხარჯებს,დახმარების თანხა	16,000

		დღიური 40(ორმოცი) ლარის ოდენობით ბენეფიციარზე და40(ორმოცი) ლარის ოდენობით თანმხლებ პირზე. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი დაწესებულების ანგარიშზე. 2021წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 9 ბენეფიციარმა.	
06 02 17	ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, რომლებიც სარგებლობენ ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწობის მიზნით, ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის სერვისის ფარგლებში განხორციელდება სერვისის მომწოდებელ სპეციალისტთა ტრანსპორტირების ხარჯის თანადაფინანსება სერვისის ბავშვებისთვის ბუნებრივ გარემოში იქნება ეს სახლი, ბაღი თუ სკოლა, ხოლო სევისის ცენტრში მიწოდების შემთხვევაში ბავშვებს დამატებით აუნაზღაურდებათ ტრანსპორტირების ხარჯი. პროექტის ფარგლებში (თითო ბავშვთან თვეში 8 ვიზიტი) განხორციელება. მგზავრობის საფასური შეადგენს 6 ლარს. ხოლო ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით, ბავშვების განვითარების ხელშეწობის მიზნით ვინაიდან ამ სერვისის მოწოდებელი გურიის რეგიონში არ არის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს მომსახურეობის მომწოდებელ ორგანიზაციებში ქვეპროგრამით მოსარგებლე ბავშვებისა და მათი თანმხლები პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯის გამოყოფას. მჯურნალობის კურსი ტარდება 12 თვის განმავლობაში თვეში 10 დღე. ორიენტაცია აღებულია ქუთაისის, ჩაქვისა და ბათუმის სარეაბილიტაციო ცენტრებზე, პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ბავშვისა და ერთი თანმხლები პირის ტრანსპორტირება მომსახურების მიმწოდებელ ორგანიზაციამდე და უკან (ქუთაისი, ბათუმი ერთი მიმართულებით 7 ლარი, ჩაქვი 6 ლარი, შიდა გადაადგილებისთვის 2 ლარი) მიმდინარე წელს ზემოაღნიშნული ქვეპროგრამები გათვლილია 30 ბავშვზე. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას.	30,0
06 02 18	გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე ბენეფიციარს გაეწევა ერთჯერადი ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, თითოეულ ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე, ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით 1000 (ათასი) ლარამდე. გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე	3000
06 02 21	0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ	ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებულ 0- დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის	2000

	ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	ობოლი წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევა ფინანსური დახმარება თითოეულ ბავშვზე 300 ლარის ოდენობით.	
06 02 22	ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა	ცელიაკია მძიმე დაავადებაა. ცელიაკია ფსიქო-ფიზიკური განვითარების შეფერხებას იწვევს. მკურნალობის ერთდაერთი საშუალება დიეტოთერაპიაა, რომელიც გულისხმობს ძვირადღირებული სპეციალიზირებული კვებითი დანამატების მიღებას მუდმივად, რაც მძიმე ეკონომიურ ტვირთს წარმოადგენს თითოეული ოჯახისთვის და ხშირად შეუძლებელს ხდის მის ჩატარებას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე ასაკის ცელიაკიით დაავადებული ბენეფიციარის დაფინანსებას ისეთი სახის კვებითი დანამატების შესაძენად, რომელიც არ არის გათვალისწინებული ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით. დახმარება გაეწევათ ყოველთვიურად თვეში არაუმეტეს 300 (სამასი) ლარისა. ზემოაღნიშნული პროგრამა უზრუნველყოფს ბავშვების განვითარების ხელშეწყობას. პროგრამა გათვლილია 1 ბენეფიციარზე.	3,6
06 02 23	აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსება.	51,6

ცხრილი N X ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი

კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის აღწერა და მიზანი	ბიუჯეტი ათასებში
02 06	კეთილმოწყობის ღონისძიებები	2022 წლის განმავლობაში არსებული ფინანსური რესურსების ფარგლებში, ქვეპროგრამის ფარგლებში გაგრძელდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე , ქ. ამბროლაურში ბრატისლავა-რაჭისა ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები; ქ.ამბროლაურში მახლადიანის ქუჩის მიმდებარე სანაპიროს კეთილმოწყობა; შაორის დასახლებაში ხელმოწერის სარიტუალოს მოწყობა; ქ. ამბროლაურის გურგენიძის ქუჩის ჩიხის რეაბილიტაცია.	5, 241,2
02 07	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	მოსახლეობის აქტიურობის გაზრდა, მოსახლეობის აზრის გათვალისწინება საკუთარი დასახლების (სოფლის) პრობლემების გადაწყვეტაში; იმ მცირე პროექტების დაფინანსება, რომელთა პრიორიტეტულობასაც განსაზღვრავს კონკრეტული დასახლების (სოფლის) მოსახლეობის უმრავლესობა.	0

05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.	761,0
06 01 03	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	მუნიციპალიტეტში ბევრია მედიკამენტების მომხმარებელი ხანგრძლივად მოავადე ადამიანები, რომელთაც მედიკამენტების ღირებულებიდან გამომდინარე, არ აქვთ მათი შეძენის ფინანსური საშუალება. ქვეპროგრამით მოსარგებლეა ეპილეფსიით, პარკინსონით, გლაუკომით, ფსორიაზით, პოლიართოზით, პოლიართრიტით, კუნთოვანი დისტროფიით, კრონის, ვილსონის, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენიური პურპურა), მიასთენიით, ციროზით, ინსულტით (მოძრაობის მკვეთრი მოშლა), შაქრიანი დიაბეტით, ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზიური ტოქსიკური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოიდიტი, ჰიპოთირეოზი), ბრონქული ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობეტრუქციული დაავადებით (ფქოდ) ხანგრძლივად მოავადე პირს, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი. დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს (ას ორმოცდაათი ათასი). პაციენტების მედიკამენტური მკურნალობა დაფინანსდება წლიური 200 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. ბენეფიციარზე გაწეული სამედიცინო მომსახურება - მედიკამენტების ღირებულება ანაზღაურდება შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაზე. ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებითი მკურნალობის ქვეპროგრამა - 3500 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე ქვეპროგრამით მოსარგებლეა ფენილკეტონური დაავადების მქონე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი დიეტოთერაპია, აუცილებელი სპეციალური უცილო პროდუქტების ყოველდღიური მოხმარებით კვების რაციონში.	20,0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და 10 001-მდე სარეიტინგო ქულის	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: 1 - ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების მომსახურება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან	35,0

	მქონე ოჯახების საახალწლო და საადღგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	ბაზაში არ აღემატება 65 000-ს და არის მარტოხელა პენსიონერი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. 2 - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირს/ოჯახს, რომელსაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში აქვს 10 000-მდე სარეიტინგო ქულა, საახალწლოდ და საადღგომოდ გადაეცემა სასურსათო პაკეტი 100 ლარის ფარგლებში. ზემოაღნიშნული სამიზნე ჯგუფი წარმოადგენს იმ გაჭირვებულთა კატეგორიას, რომელთაც არ გააჩნიათ ფინანსური და ფიზიკური რესურსი კვების პროდუქტების შესაძენად და მათ მოსამზადებლად. აგრეთვე ოჯახების კატეგორიას, რომლებიც არიან უკიდურესად გაჭირვებულები და არა აქვთ სადღესასწაულო გარემოს შექმნის საშუალება. მარტოხელა პენსიონერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები დაცული იქნან ყოველდღიური გაჭირვებისაგან. მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით განსაზღვრული, ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. გაჭირვებულთა ოჯახებისათვის სადღესასწაულო განწყობის შექმნა. ყოფითი პირობების გაუმჯობესება.	
06 02 04	შშმ 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვის ერთჯერადი ფულადი დახმარება; შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა და „დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის“ სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება	სოციალური პირობების გაუმჯობესება და ღირსეული თანაცხოვრებისთვის ხელშეწყობა. გაუმჯობესებული სოციალური პირობები და უზრუნველყოფილი თანაბარი შესაძლებლობები.	100,0

(კოდი - 02 06) პროგრამაში არაფერია ნათქვამი სივრცეების ადაპტირებზე და შშმ პირთათვის გარემოს მისაწვდომობაზე;

(კოდი - 02 07) დაფინანსების ნაწილში წერია 0
პროგრამაში საერთოდ არ არის ნახსენები შშმ პირები (მათ შორის შშმ ქალები);

(კოდი - 05 01 01) პროგრამაში არ არის გათვალისწინებული შშმ გოგონათა საჭიროებები;

ცხრილი N XI ონის მუნიციპალიტეტის 2022 წლის პროგრამების ბიუჯეტი			
კოდი	**პროგრამის დასახელება**	**პროგრამის აღწერა და მიზანი**	**ბიუჯეტი ათასებში**
02 05	კეთილმოწყობის ღონისძიებები	ქ. ონში საზოდაგოდოებრივი დანიშნულების სივრცეების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის პროექტი გულისხმობს, აღმაშენებლის მოედნის, გიგა ჯაფარიძს სახელობის სკვერის, მოწყობა-რეაბილიტაციას, რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას კახაბერის, ვახტანგ მე-6, ბააზოვის ქუჩების გარკვეულ მონაკვეთებზე საფეხმავლო ბილიკების, ღობეების, გამწვანების ზოლების, გარე განათების მოწყობას.	200, 0
04 01	სკოლამდელი განათლება	ბაგა-ბაღი მიზნად ისახავს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას, ინკლუზიურ განათლებას, აღსაზრდელების უსაფრთხოებასა და საუკეთესო ინტერესების დაცვას, სტანდარტის შესრულების გაძლიერებას, ბავშვთა სკოლისათვის მომზადებას.	320, 0
06 02 02	ქვეპროგრამა შეზღუდული შესაძლებლობის პირთა სოციალური დაცვა	1. არასაპენსიო ასაკის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე, ერთჯერადი დახმარება გაიცემა ცერებრალური დამბლის, დაუნის სინდრომის, ტეტრაპლეგიის, ჰემიპლეგიის, პარაპლეგიის, მკვეთრად გამოხატული ტეტრაპარეზის, მკვეთრად გამოხატული პარაპარეზის, მკვეთრად გამოხატული ჰემიპარეზის გამო მყარი ნარჩენი მოვლენების, გონებრივი ჩამორჩენის, ეპილეფსიის, ფსიქიკური პრობლემების, III-IV ხარისხის სკოლიოზის, ორმხრივი ნეიროსენსორული (IV ხარისხის) სმენაჩლუნგობის და ინვალიდობის ეტლი საჭიროების მქონე პირებს რომელთაც არ შეუძლიათ სრულფასოვნად ჩაერთონ საზოგადოებრივ საქმიანობაში ან იცხოვრონ ცხოვრების ჩვეულებრივი წესით: ა) წლის განმავლობაში 300 (სამასი) ლარი და ბ)საახალწლო-საშობაოდ 100 (ასი) ლარი. 2. 18 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ერთჯერადი დახმარება გაეწევათ შემდეგნაირად: 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საახალწლო-საშობაოდ თუ მათზე არ ვრცელდება ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის მოქმედება - გაიცემა 100 (ასი) ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის მიზანია არასაპენსიო ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ფინანსური რისკების შემცირება.	15, 0
06 02 06	8 მარტის, 9 და 26 მაისის, 17 ოქტომბერის და საახალწლო დღესასწაულებთან დაკავშირებით ვეტერანთა	ქვეპროგრამის ფარგლებში მატერიალური დახმარება გაეწევა: 1. საშშობლოს წინაშე ღვაწლმოსილ პირებს, კერძოდ: ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებს სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებით, კერძოდ: 9 მაისსთან	4400, 0

	ერთჯერადი დახმარება	დაკავშირებით - II მსოფლიო ომის ვეტერანებს 200 ლარით, საქ. ტერ. მთ. ბრძოლაში მონაწილე ქალებზე 8 მარტს - ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (ასეთების არსებობის შემთხვევაში) -100 ლარის ოდენობით;	
06 02 07	არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და ინვალიდთა ოჯახების სოციალური დახმარების ღონისძიებები	ქვეპროგრამის მიზანია მოწყვლადი ჯგუფების ძირითადი კომუნალური მომსახურებით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: არასაპენსიო ასაკის შშმ პირების, მათ შორის შშმ სტატუსის ბავშვების; ონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების მათთან გათანაბრებული პირების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, მარჩენალ დაკარგულების და აფხაზეთიდან და ცხინვალიდან დევნილი ოჯახების ყოველთვიურად წყლისა და კანალიზაციის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) და დასუფთავების მოსაკრებლის საფასურის (ერთეულის ფასი - 50 თეთრი) გადასახადით უზრუნველყოფა. მეორე მსოფლიო ომის თითოეულ ვეტერანზე ზამთრის სეზონისთვის საშეშე მერქნის შესაძენად ერთჯერადი ფულადი დახმარება 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.	**4, 0**

(კოდი - 02 05) პროგრამაში არაფერია ნათქვამი სივრცეების ადაპტირებაზე და შშმ პირთათვის გარემოს მისაწვდომობაზე;

(კოდი - 04 01) პროგრამის მიზანში დასაწყისში ნახსენებია სიტყვა ინკლუზია, მაგრამ სს საჭიროების მქონე ბავშვებისთვის შემდეგ არაფერია ნათქვამი;

(კოდი - 06 02 02) ამ პროგრამით ძირითადი აქცენტები კეთდება ერთჯერად დახმარებებზე. ყურადღება მისაქცევია ტერმინის "ცერებრალური" და ინვალიდობის ეტლის არცოდნა;

(კოდი - 06 02 06) ამ პროგრამაშია გამოყოფილი ქალები, თანაც ჩანაწერშია (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენ ქალს სტატისტიკა არ არსებობს.

დასკვნა

შშმ პირთა პროგრამების ბიუჯეტისა და პოლიტიკის შეფასებამ აჩვენა, რომ ადგილობრივ დონეზე გენდერული ასპექტების გათვალისწინება არ ხდება. შშმ პირთა სამოქმედო გეგმები, უმეტესწილად, მოიცავს შენობა-ნაგებობების იდენტიფიცირებას შემდგომი ადაპტირებისათვის და ზოგიერთ შემთხვევაში, მათი ადაპტირების დაწყებას, რათა გაიზარდოს მისაწვდომობა. გამონაკლისია სიღნაღის მუნიციპალიტეტი, რომელიც გენდერის საკითხებს ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის ამოცანაში და გეგმავს შესაბამისი ღონისძიებების გატარებას.

წარმოდგენილი სამოქმედო გეგმები ნაკლებად კონკრეტულია, გაზომვადობისა და მიღწევადობის შეფასების ინდიკატორები დასაზუსტებელია. უფრო მეტად აბსტრაქტული და ნაკლებად კონკრეტული აქტივობები ხელს უშლის მიზნის მიღწევას. მიზნებისა და ამოცანების შესაბამისობა და აქტივობების ნათლად აღწერა შესაძლებელს გახდის მიღწეული შედეგების შეფასებას დაზუსტებული ინდიკატორების მეშვეობით.

შშმ პირები კვლავ მოიაზრებიან ქველმოქმედების ობიექტებად. მათი ეკონომიკური გაძლიერებისკენ მიმართული ღონისძიებები უმნიშვნელოდ არის წარმოდგენილი პოლიტიკისა და ბიუჯეტის დოკუმენტებში.

გენდერული პერსპექტივა სამოქმედო გეგმებში მოცემული არ არის. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ზოგადად ყველა შშმ პირისთვის ისეთი საერთო პრობლემების გადაჭრის პრიორიტეტულობა, როგორიც არის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა და ადაპტირებული ინფრასტრუქტურა. შესაბამისად, ყველა სამოქმედო გეგმისთვის მიზანი და ამოცანა არის საერთო, მხოლოდ აქტივობები განსხვავდება მცირედით. აუცილებელია, რომ დადგინდეს შშმ პირთა საჭიროებები თითოეულ რეგიონში და განისაზღვორს პრიორიტეტები, რომელთა მოგვარებასაც მიეძღვნება ადგილობრივი თვითმმართველობების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა. ამასთან, საჭიროა დადგინდეს თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების გენდერული სტატისტიკა.

მუნიციპალიტეტების ბიუჯეტის პროგრამები და ქვე-პროგრამები არ ითვალისწინებს გენდერულ ასპექტებს და შშმ პირებზე მიმართული პროგრამების სიმცირეა. ამდენად, აუცილებელია, რომ პროგრამები მოიცავდეს შშმ პირთა ჩართულობას და ყველა ის პროგრამა, რომელიც ბიუჯეტიდან ფინანსდება შესაძლებლობას აძლევდეს იმ რეგიონში მცხოვრებ შშმ პირებს, რომ ისარგებლონ ამ პროგრამებით. ამასთან, პროგრამით მოსარგებლეთა გენდერული სტატისტიკა ხელმისაწვდომი უნდა გახდეს, რათა გამოიკვეთოს და დაკმაყოფილდეს შშმ ქალთა საჭიროებები მათი ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების მიზნით.

რეკომენდაციები

ჩატარებული შეფასების საფუძველზე, შემუშავდა შემდეგი რეკომენდაციები, რათა ადგილობრივ დონეზე მოხდეს შშმ პირთა პროგრამების ბიუჯეტში გენდერული პერსპექტივის გათვალისწინება, რაც შესაძლებელს გახდის მათი საჭიროებების უკეთ დანახვას და სათანადო ღონისძიებების გატარებას.

- შშმ პირთა, მათ შორის შშმ ქალთა, ეკონომიკური და სოციალური გაძლიერების მიზნით, უნდა არსებობდეს პროგრამები და გამოყოფილი ბიუჯეტი განსაკუთრებით, განათლების, კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის მიმართულებით, აგრეთვე დასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობა.
- აუცილებელია, რომ შშმ პირთა პროგრამები და ბიუჯეტი ადგილობრივ დონეზე მიემართოს შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრაციისა და მათი სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების ხელშესაწყობად, განსაკუთრებით ფიზიკურ გარემოზე წვდომისა და მისაწვდომი ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით.
- საჭიროა, შშმ პირთა პროგრამები და ბიუჯეტი ითვალისწინებდეს (პროფესიულ) განათლებაზე ხელმისაწვდომობას.
- აუცილებელია შშმ პირთა პროგრამებში გენდერული საკითხების ინტეგრირება, რათა პროგრამების ბიუჯეტი შესაბამისად დაიგეგმოს და აისახოს გენდერული საჭიროებები, რომელთა დასაკმაყოფილებლადაც შექმნილია პროგრამა და მისი ბიუჯეტი.
- ვინაიდან შშმ პირთა ჯგუფი არ არის ერთგვაროვანი, არამედ ყველა მათგანს განსხვავებული საჭიროებები შეიძლება ჰქონდეს, ამიტომ საჭიროა, რომ პოლიტიკა იყოს მოქნილი და უპასუხოს მრავალფეროვან საჭიროებებს. პირველ რიგში, შესაძლოა პროგრამები და ბიუჯეტი იმგვარად შედგეს, რომ დააკმაყოფილოს ფართო საჭიროებები, რაც ზოგადად შშმ ქალებს აწუხებთ კონკრეტულ მუნიციპალიტეტში.
- ქალ მეწარმეთა, მათ შორის, შშმ ქალ მეწარმეთა მხარდაჭერა აუცილებელია მათი ეკონომიკური გაძლიერებისთვის და გენდერული თანასწორობის მიზნის მისაღწევად.
- საჭიროა პროგრამებში მონაწილე ბენეფიციართა გენდერული სტატისტიკის წარმოება, რათა შეფასდეს შშმ ქალთა ჩართულობა და საჭიროების შემთხვევაში, დაიგეგმოს დამატებითი ღონისძიებები მათი მონაწილეობის გასაზრდელად.
- მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირების იდენტიფიცირება და სქესისა და ასაკის მიხედვით ჩაშლილი მონაცემების შეგროვება.
- აუცილებელია, ადგილობრივ დონეზე, შშმ პირთა საჭიროებების კვლევა და ანალიზი გენდერულ ჭრილში. ამ მიზნით, გენდერული სტატისტიკის წარმოება მნიშვნელოვანია.
- მნიშვნელოვანია შშმ პირთა პროგრამებისა და ბიუჯეტის იმგვარად შემუშავება, რომ აისახოს გენდერული თანასწორობა და ქალთა გაძლიერების მიზნები.
- საჭიროა შშმ პირთა ინფორმირება არსებული პროგრამების შესახებ და მათი ჩართულობის უზრუნველყოფა დაგეგმვის ეტაპზე.

- მნიშვნელოვანია, შშმ პირთა თანამონაწილეობით, ახალი პროგრამებისა და ინიციატივების დანერგვა, რომლებიც უპასუხებენ შშმ პირების გენდერულ საჭიროებებს.
- მნიშვნელოვანია, რომ შშმ პირთა პროგრამებსა და ბიუჯეტში გათვალისწინებული იყოს ქალთა საჭიროებებზე მიმართული სოციალური, ეკონომიკური და ჯანდაცვის ღონისძიებები, შშმ ქალთა გაძლიერების მიზნით.
- აუცილებელია, რომ შშმ პირთა პროგრამები და ბიუჯეტი ადგილობრივ დონეზე იყოს გაზომვადი, მოიცავდეს კონკრეტულ ამოცანებსა და ინდიკატორებს, რათა შესაძლებელი იყოს მისი მონიტორინგი და შეფასება, რაც, ამასთანავე, გააადვილებს სამომავლო პროგრამებისა და ბიუჯეტის შედგენას.
- მნიშვნელოვანია შშმ პირთა პროგრამებისა და ბიუჯეტის მონიტორინგი, რათა შეფასდეს შესრულება და ხარვეზი, რომელიც მომდევნო წლების ბიუჯეტით აღმოიფხვრება.
- საჭიროა, მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ ქალების სპეციფიკური საჭიროებების შესწავლა და მათი ასახვა სამოქმედო გეგმებში და ბიუჯეტში.
- მნიშვნელოვანია გენდერული ბიუჯეტირების დანერგვა და ქალთა, მათ შორის, შშმ ქალთა და შშმ შვილების დედების მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული პროგრამების განხორციელება.
- შესაძლებელია სიღნაღის სამოქმედო გეგმისა და მუნიციპალიტეტის მიერ დოკუმენტზე მუშაობის გამოცდილების გაზიარება სხვა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის, რადგან ეს დოკუმენტი მხედველობაში იღებს შშმ ქალთა და გოგონათა საჭიროებების დადგენას და მათ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა

დადგენილება # 551. (2021). https://matsne.gov.ge/ka/document/view/5292878?publication=0

ზოგადი კომენტარი №3. (2016). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების შესახებ, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/mrubwxhr

კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, ხელმისაწვდომიაბმულზე: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3860268?publication=0

ბავშვის უფლებების კონვენცია, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/2s384wyf

საქართველოს კანონი შშმ პირთა უფლებების შესახებ, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://tinyurl.com/37pu2xbs

საქართველოს პარლამენტის თემატური მოკვლევა, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/242885

დისკრიმინაციისგან დაცვის უფლების განხორციელება სხვადასხვა ჯგუფისთვის საქართველოში, ხელმისაწვდომია ბმულზე: http://equalitycoalition.ge/files/shares/DISCRIMINATIA_2022_30_04_ForWeb.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი. (2020). ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გენდერული პოლიტიკის შეფასება - სპეციალური აქცენტით ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2020061711084253805.pdf

საქართველოს სახალხო დამცველი. (2022). შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში. ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ombudsman.ge/res/docs/2022032319395428522.pdf

შშმ ქალებისა და გოგოების საჭიროებებისა და მათი უფლებების დაცვის მდგომარეობის შეფასება საქართველოში (2022) ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.ombudsman.ge/geo/190308061623angarishebi

The WHO global disability action plan 2014-2021. https://www.who.int/publications/i/item/who-global-disability-action-plan-2014-2021

Australia's Disability Strategy 2021-2031. https://www.disabilitygateway.gov.au/ads/strategy

National Action Plan On Disability 2012 - 2020. https://broschuerenservice.sozialministerium.at/Home/Download?publicationId=225

Increasing Women's Participation in Municipal Decision-making Processes: Strategies for More Inclusive Canadian Communities. https://www.gov.nl.ca/exec/wge/files/Increasing-Womens-Participation-in-Municipal-Decision-Making-Strategies-for-More-Inclusive-Canadian-Communities.pdf

Canada's Disability Inclusion Action Plan, 2022. https://www.canada.ca/en/employment-social-development/programs/disability-inclusion-action-plan-2/action-plan-2022.html

DFID's Strategy for Disability Inclusive Development 2018-23. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/United-Kingdom_Disability-Inclusion-Strategy-2018-to-2023.pdf

Key sheet - Women's Economic Empowerment and Disability Inclusion in Future Cities programmes. https://assets.publishing.service.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/983280/Prosperity-fund-key-sheet-query61-Global-Future-Cities1.pdf

Disability Framework for Local Government 2009 - 2014. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/South-Africa_Disability-Framework-for-Local-Government-2009-2014.pdf

Strategy for advancement of rights and status of persons with disabilities in the Federation of Bosnia and Herzegovina. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/BosniaHerzegovina_Strategy-for-Equalisation-of-Opportunities-for-Persons-with-Disabilities-in-the-Federation-of-Bosnia-and-Herzegovina.pdf

National Strategy for Equalization of Opportunities for Persons with Disabilities 2017 - 2020. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/Croatia_National-Strategy-of-Equalization-of-Opportunities-for-Persons-with-Disabilities.pdf

National Plan for the Promotion of Equal Opportunities for Persons with Disabilities 2015-2020. https://www.un.org/development/desa/disabilities/wp-content/uploads/sites/15/2019/10/Czechia_National-Plan-for-the-Promotion-of-Equal-Opportunities-for-Persons-with-Disabilities-2015-2020.pdf

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის (2014). სამოქმედო გეგმების ანალიზი ქალთა დასაქმების ხელშეწყობის კუთხით. ავტორი: ნ. გოჩიაშვილი. https://tinyurl.com/6cfpsc7a